


~~BK 6342~~
3



Monumenta Hagiographica Georgia.

Pars prima

1938. X. 1.
ჯგერმანო.


KEIMENA

Tom. I

Januarium, Februarium, Martium, Aprilem et Majum
menses continens.

Sumptibus Rossicae Academiae scientiarum edidit

Profes. Cornelius Kekelidze.



Tiflis. 1918.

K
6342
3

ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები.

ნაწილი პირველი

კ ი მ ე ნ ი

ტომი I.

იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის და
მაისის თვეთა ტექსტები

გამოცემა რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა

პროფ. კონსტ. კეკელიძის

რედაქტორობით.



ტფილისი

საქართ. რეგ. გზ. სამმართველოს ტიპო-ლიტოგრაფია.

1918 წ.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

1

სახელი, მიზანი და გეგმა გამოცემისა.

ერეულწოდებულ ჭაგოგრაფიულ მწერლობას, რომელშიაც აღბეჭდილია განსაზღვრულ საეკლესიო წრისა და ეპოქის სულისკვეთება, როგორც უკვე ცნობილია საისტორიო მეცნიერებაში, უადრესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. „წმიდათა ცხოვრებას“ სთხზავდენ ხშირად თანამედროვენი და „თანდახუთომილნი,“ რომელთაც თავიანთ ნაწერებში ისეთი ცნობები და დეტალები დაუტავთ, რაც ნათესაჲ ქრინისტებისა და შემატანეთ უფურადღებოდ რჩებოდათ ხელმე. სწორედ ამით ახსენება ის ინტერესი, რომელსაც იჩენენ ასეთ თხზულებებისადმი როგორც კერძო მეცნიერნი, აგრეთვე სხვა და სხვა სამეცნიერო საზოგადოებანი. ავიდეთ, თუგინდ, ეგელსაგან ცნობილი „ბოლანდისტთა“ კოლეგია, რომელმაც 1643 წლიდან მოყოლებული დღეინდელ დღემდე თითქმის სამოცდახუთი ტომი გამოსცა და მხოლოდ ნოემბრის თვის წმიდანებაში მადწაა. გულდადებით ეძებენ და სცემენ არა მარტო ლათინურ-ბერძნულ, არამედ საქრისტიანო აღმოსავლეთის ეგელა ენებზე ნაწერ ტექსტებს, როგორც, მაგალითად, ასურულს, არაბულს, სომხურს, ეთიოპურს, კობტურს და აგრეთვე სლოვენურს. სავალდო გამონაკლისს შედგენს მხოლოდ ქართული ენა, რომელსაც დაუტავს უმდიდრესი შემკვიდრება საქრისტიანო მწერლობისა, კერძოდ კი ჭაგოგრაფიულია. მაზეზი ამისა ისაა, რომ ეგრობიელ მეცნიერებს ან ქართული ენის ცოდნა არ შესწევთ, ანა და სხვა რამე უშლის ხელს; ცნობილი მეცნიერი, ბოლანდისტი P. Peeters-ი, რომელიც ეგრობაში დღეს ძველი ქართული ტექსტების საუკეთესო მეთიხველად უნდა ჩათვალდს, ამის შესახებ ნაფლანადა შენიშნავს: „nostro tamen nec consilio nec voluntate accidit, ut Hiberorum nobilissimae litterae excluderentur ab opere, in quo locum obtinet longe ab antiquae ecclesiae consuetudine remotiorum Aethiopum barbaries: Neque illas abesse sineremus, si earum collectio aliqua informari posset sine multorum librorum subsidio, qui procul trans Portas Gaspas in angulis bibliothecarum invisitatis hodie delitescunt.“¹⁾ რაც შეეხება ქართულ მეცნიერებას, აქ ძველი ჩვენი მწერლობის შესწავლა-გამომეყურება ერ-

¹⁾ Bibliotheca hagiographica orientalis, p. V, Bruxellis 1910 an.

თბო ჩამორჩენილია, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ჭავჭავაძის მწერლობის შესახებ: ამ დარგში არავითარი სისტემატიური მუშაობა არ სწარმოებულა. ერთის მხრით ამ კარგეობებში, მეორეს მხრით ქართული ჭავჭავაძის მწერლობის მიმდინარეობა და უაღრესესად სამეცნიერო მნიშვნელობაში გვაძიქვალა ჩვენ 1915 წ. მოხსენებით მიგვემართა ზეტროვრადის სამეცნიერო აკადემიისათვის, რომ მას კეისრის გამოცემაში ამ ძვირფასი სამწერლო ნაშთებისა. ¹⁾ თანახმად ამ მოხსენების და აკადემიისის ნ. მარის დასკვნისა, სამეცნიერო აკადემიამ გადაწყვიტა ქართული ჭავჭავაძის მწერლობის გამოცემაში შექმნილი სტანდარტის სერია, რომლის რედაქტორობა ჩვენვე დავავსოთ. ეს სერია, რომელსაც „სახელად Monumenta hagiographica Georgica“ ჰქვია, სამ ნაწილად განზრახულია: ზირველ ნაწილში შევა კერძოდებული „კამენი“, ესე იგი „ზირველ ლიტონხად აღწერილი“ მთლიანი წმიდათა ცხოვრებანი; მეორე ნაწილში — ამავე წმიდათა გარდაქმნილ-კადაკეთებულნი, ლიტურგურულად შესწორებულ-გამშენებულნი ცხოვრებანი, რომელთაც „მეტაფრასი“ ეწოდება; მესამე ნაწილში — ქართულ წმიდათა ცხოვრებანი, რომელთაც გამოცემა აუცილებელ სტანდარტს შეადგენს, თუ შესაძლებლობაში იმ კარგეობებს ვიქონიებთ, რომ ერთადერთი გამოცემა მ. ს. ბ. ი. ნ. ს. „საქართველოს სამთხვე“ გასსეიდად არ იშოვება და თან ზრდილი სამეცნიერო მთხვენილებასაც კი ვერ აკმაყოფილებს.

წმიდათა ცხოვრება“ წარმოადგენს უსაზღვრო ოკეანეს საქრისტიანო მწერლობისას, ამიტომ შეუძლებელია წინდაწინ გათვალისწინება იმისა, თუ რამდენი ტომით ამოიწურება თვითიული ამ სამ ნაწილთაგანი, ეს დამოკიდებული იქნება დროზე, საზღვაოზე, გამოცემის ენერჯიაზე და მის ვგუჯვა-ძიების უნარზე. საჭირო არ არის ჯერ უთუოდ ზირველი ნაწილი დამთავრდეს, მეორე მეორე და მის შემდეგ მესამე, მუშაობის ხასიათი ასეთ თანდათანობას არ იხრულობს. ამთავად ჩვენ ვუშვებთ ზირველი ნაწილის ზირველ ტომს, მეორე შეიძლება გამოვიდეს ზირველი ტომი მეორე, გინდ მესამე ნაწილისა, იმისდა მისედედით, თუ რა მასდა იქნება დამზადებული. ვიწყებთ რა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, ჩვენ სრულიდაც არ ვგოცნებობთ, რომ ახლო მომავალში შევსილებთ მის დამთავრებას; თუ ევროპაში საზოგადოებათა და მეცნიერთა მთელი რიგი ატერ სამი საუკუნეა თავკამოდებულ შემგვიდრებითი მუშაობას ეწყება ამ დარგში და ჯერაც ვერ ამოუწურავს ეს უსაზღვრო ოკეანე, მით უმეტეს ძნელი იქნება ეს ჩვენში, სადაც არც ძალები მოგვეზოვება საკმაო და არც სახასარი. დღეს მხოლოდ საფუძველი ედება ამ დიდ საქმეს და იმედა, მკვდრებით აღდგომილს ჩვენს ზეტროვრადის სამეცნიერო მთხვენილებას, ჩვენი წინაზრთა ენით რომ ვსთქვათ, „სწავლის-მოუყარენი,“ რომელნიც დაწყებულ საქმეს სასურველად დაავგორებენ.

¹⁾ იხილეთ „I приложение къ протоколу VII засѣданія историко-филологическаго отдѣленія Академіи Наукъ отъ 15 апрѣля 1915 г. за № 123.“

ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორია.

ნათარგმნი ჰაგიოგრაფია.

მატეილთა და წმიდათა კულტი ეკლესიაში. ჰაგიოგრაფიის წარმოშობა. უძველესი მარტილობა-ცხოვრებანი, მათი ხასიათი და სამეცნიერო მნიშვნელობა. დასაწყისი ქართული ჰაგიოგრაფიისა. იაკობ ხუცის მოწმობა. ქართული ჰაგიოგრაფია მეშვიდე საუკუნემდე; მეშვიდე საუკუნიდან მეათემდე. სად და რა ენებიდან სთარგმნიდენ ძველად ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებს? კიმენი. მრავალთავი და მისი ნაშთები. კიმენის მთარგმნელნი მეათე საუკუნემდე. ნეათე საუკუნის მთარგმნელნი: დავით ტბელი და ექვთიმე მთაწმიდელი. მეტაფრასტული ეპოქა ჰაგიოგრაფიაში და მისი დახასიათება. სვიმეონ ლოლოთეტი. მისი მეტაფრასები ქართულად; ეფრემ მცირის მოწმობა. სვიმეონის მთარგმნელნი: დავით ტბელი, სტეფანე სანანოასძე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელნი, ეფრემ მცირე, თეოფილე ხუცეს-მონაზონი, არსენი და იოანე პეტრიწი. სვიმეონის შრომის დამსრულებელი იოანე ქსიფილინოსი. როდის და სად ითარგმნა ქართულად ქსიფილინოსი? მისი მთარგმნელი იოანე პეტრიწი უნდა იყოს. ჰაგიოგრაფიის სხვა დარგები: სენაკსრები, აპოთელმატა, ლავსაიონი, თეოფილონ ისტორია, ლიალოღონი და სამოთხე. ამათი ქართულად მთარგმნელნი.

ვიდრე ამ ტომში მოყოლად ტექსტებსა და ხელნაწერებს შეგუებოდეთ, საჭიროდ მიგაკჩნია მოკლედ გაკითვალისწინით ქართულ ჰაგიოგრაფიულ შუქრობის ისტორია.

ზირველი სამი საუკუნის ეკლესია ცნობილია როგორც ecclesia pressa, ესე იგი დევსული, შეიწროვებული და უარყოფილი სსოგადობა; ქრისტიანობა ამ დროს არამც თუ ნებადართული არ იყო სახელმწიფოსკან, ზირქით ამ სარწმუნოების მიმდევართ ცეცხლით, მახვილით და ტანჯვა-წყალებით უმსპინძლდებოდენ. ასეთმა მდგომარეობამ ქრისტიანეთა შორის წარმოშვა მთელი დასი მარტვილთა ანუ მოწამეთა, რომელთაც თავისი რწმენის სიმტკიცე სისხლის დანთხევითა და სიკვდილით ადბეჭდეს. მათი გასამართლების პროცესი და მარტვილობა საცნობ-მეგობრებსა და პატრიის-მცემელთ აუწერათ „აქტების“ სახით, რომელთაც დიდის მოწიწებით ჭკითხულობდენ როგორც კერძოდ ოჯახებში, აგრეთვე ეკლესიაში. ეგნატე ღმერთშემოსილის და ზოლკარზე სმირნელის აქტიბიდანა სჩანს, რომ ასეთი ჩვეულება უკვე მეორე საუკუნიდან დამყარებულია; მართთა შუამდინარელი († 418) სპარსეთის მოწამეთა აქტებს დიდმარხვობით ჭკითხულობდა ხოლმე ეკლესიაში, ხოლო 418 წლის კართაგენის ერების 50 კანონით მოწამეთა აქტები მათი ხსენების დღეს უნდა იკითხებოდეს. მეოთხე საუკუნეში ევსევი ზამთუილს ანუ კესარიელს ისინი შეუკრებია კრთ წიგნად, რომელიც ოც თავს შეიცავდა და *Συναγυριῖ ἡνῶ ἀρχαίῳ μαρτυροῦσῶ*-ად იწოდებოდა. მეოთხე საუკუნიდან, როდესაც ქრისტიანობა ნებადართულ და სახელ-

თბო ჩამორჩენილია, გასსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ჭავჭავაძის მიერ აღმოჩენილი მონუმენტების შესახებ: ამ დარგში არაფიციური სისტემატიური მუშაობა არ სწარმოებულა. ერთი მხრით ამ კარგი მუშაობის, მეორეს მხრით ქართული ჭავჭავაძის მიერ აღმოჩენილი მონუმენტების სიმდიდრე და უაღრესად სამეცნიერო მნიშვნელობამ უკაბიულა ჩვენ 1915 წ. მოხსენებით მიგვეჩინათ ზეტროგრაფიის სამეცნიერო აკადემიისათვის, რომ მას კვების გამოცემა ამ ძვირფას სამეცნიერო ნაშრომისა. ¹⁾ თანხმად ამ მოხსენებების და აკადემიისათვის ნ. მარტის დასვენების, სამეცნიერო აკადემიამ გადაწყვიტა ქართული ჭავჭავაძის მიერ აღმოჩენილი მონუმენტების გამოცემად შეექმნა საცნებო სერია, რომლის რედაქტორობა ჩვენს დაგვიანდა. ეს სერია, რომელსაც „სახელად Monumenta hagiographica Georgica“ ჰქვია, სამ ნაწილადაა განზრახული: ზირკულ ნაწილში შევა კერძოდ აღებული „ქიმიანი“, ესე იგი „ზირკულ ლიტონად აღწერილი“ მსოფლიო წმიდათა ცხოვრებანი; მეორე ნაწილში — ამავე წმიდათა გარდაქმნილ-გადაკეთებულნი, ლიტურატიურულად შესწავლულ-გამოხსენიებულნი ცხოვრებანი, რომელთაც „მეტაფორასი“ ეწოდება; მესამე ნაწილში — ქართულ წმიდათა ცხოვრებანი, რომელთაც გამოცემა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, თუ მხედველობაში იმ კარგი მუშაობის ვიქონიებით, რომ ერთადერთი გამოცემა მ. სანდინისა „საქართველოს სამოთხე“ გასსულიად არ მოგვება და თან ზრდილი სამეცნიერო მოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფილებს.

„წმიდათა ცხოვრება“ წარმოადგენს უსაზღვრო ოკეანის საქონისტიანო მიწათმართვის, ამიტომ შეუძლებელია წინდაწინ კავალისწინება იმისა, თუ რამდენი ტომით ამოიწურება თვითიველი ამ სამ ნაწილთაგანი, ეს დამოკიდებული იქნება დროზე, საჭიროებაზე, გამოცემის ენერჯიაზე და მის კვლევა-ძიების უნარზე. საჭირო არ არის ჯერ უთუოდ ზირკული ნაწილი დამთავრდეს, მეორე მეორე და მას შემდეგ მესამე, მუშაობის ხასიათი ასეთ თანდათანობას არ თხოვლობს. ამთავად ჩვენ ვუძებთ ზირკული ნაწილის ზირკულ ტომს, მეორე შეიძლება გამოვიდეს ზირკული ტომი მეორე, კინდ მესამე ნაწილისა, იმისდა მიხედვით, თუ რა მასალა იქნება დამზადებული. ვიწვევთ რა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, ჩვენ სრულიად არ ვგოცნებობთ, რომ ახლო მომავალში შეესძლებოთ მის დამთავრებას; თუ ვგოცნებობთ საზოგადოებას და მეცნიერთა მთელი რიგი აკრ სამი საუკუნე თავამოძებულ შემკვიდრებითი მუშაობის ეწვევა ამ დარგში და ჯერაჯ ვერ ამოუწურავს ეს უსაზღვრო ოკეანე, მით უმეტეს ძნელი იქნება ეს ჩვენში: სადაც არც ძალები მოგვეპოვება საკმაო და არც სახსარი. დღეს მხოლოდ საფუძველი ედება ამ დიად საქმეს და იმედა, შეკვდრითი ადგომილს ჩვენს პატრას სამშობლოში თანდათანობით გამოჩნდებიან, ჩვენ წინაპრთა ენით რომ ვსთქვამთ, „სწავლის-მოუყარენი“, რომელნიც დაწებულ საქმეს სასურველად დააკვირვებენ.

¹⁾ იხილეთ „I приложение къ протоколу VII засѣданія историко-филологическаго отдѣленія Академіи Наукъ отъ 15 апрѣля 1915 г., за № 123.“

ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორია.

ნათარგმნი ჰაგიოგრაფია.

მატეილთა და წმიდათა კულტი ეკლესიაში. ჰაგიოგრაფიის წარმოშობა. უძველესი მარტილობა-ცხოვრებანი, მათი ხასიათი და სამეცნიერო მნიშვნელობა. დასაწყისი ქართული ჰაგიოგრაფიისა. იაკობ ხუცის მოწმობა. ქართული ჰაგიოგრაფია მეშვიდე საუკუნემდე; მეშვიდე საუკუნიდან მეათემდე. სად და რა ენებიდან სთარგმნიდენ ძველად ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებს? კიმენი. მრავალთავი და მისი ნაშთები. კიმენის მთარგმნელნი მეათე საუკუნემდე. ნეათე საუკუნის მთარგმნელნი: დავით ტბელი და ექვთიმე მთაწმიდელი. მეტაფრასტული ეპოქა ჰაგიოგრაფიაში და მისი დახასიათება. სვიმეონ ლოლოთეი. მისი მეტაფრასები ქართულად; ეფრემ მცირის მოწმობა. სვიმეონის მთარგმნელნი: დავით ტბელი, სტეფანე სანანოასძე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელი, ეფრემ მცირე, თეოფილე ხუცეს-მონაზონი, არსენი და იოანე პეტრიწი. სვიმეონის შრომის დამსრულებელი იოანე ქსიფილინოსი. როდის და სად ითარგმნა ქართულად ქსიფილინოსი? მისი მთარგმნელი იოანე პეტრიწი უნდა იყოს. ჰაგიოგრაფიის სხვა დარგები: სვნაქსრები, აპოთელმატა, ლავსაიკონი, თეოფილონ ისტორია, დიალოგონი და სამოთხე. ამათი ქართულად მთარგმნელნი.

ვიდრე ამ ტომში მოყოლად ტექსტებსა და ხელნაწერებს შეგუებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნის მოკლედ გავიათვალისწინოთ ქართულ ჰაგიოგრაფიულ შუქრობის ისტორია.

ზირველი სამი საუკუნის ეკლესია ცნობილია როგორც *ecclesia pressa*, ესე იგი დევნული, შეიწროვებული და უარყოფილი სასოკადობა; ქრისტიანობა ამ დროს არამც თუ ნებადართული არ იყო სახელმწიფოსკან, ზირიქით ამ სარწმუნოების მიმდევართ ცეცხლით, მსხვილით და ტანჯვა-წვალებით უმასპინძლდებოდენ. ასეთმა მდგომარეობამ ქრისტიანეთა შორის წარმოშვა მთელი დასი მარტვილთა ანუ მოწამეთა, რომელთაც თავისი რწმენის სიმტკიცე სისხლის დაწოთვითა და სიკვდილით ადბეჭდეს. მათი გასამართლების პროცესი და მარტვილობა ნაწილ-მეკობრებსა და ჰატვიის-მცემელთ აუწერათ „აქტების“ სახით, რომელთაც დადის მოწიწებით ჭკითხულობდენ როგორც კერძოდ ოჯახებში, აგრეთვე ეკლესიაში. ეგნატე ღმერთშემოსილის და ზოლკარზე სმირნელის აქტებიდანა სჩანს, რომ ასეთი ჩვეულება უკვე მეორე საუკუნიდან დამუარებულა; მართუთა შუამდინარული († 418) სპარსეთის მოწამეთა აქტებს დიდმარხვობით ჭკითხულობდა ხოლმე ეკლესიაში, ხოლო 418 წლის კართაგენის ერების 50 კანონით მოწამეთა აქტები მათი ხსენების დღეს უნდა იკითხებოდეს. მეოთხე საუკუნეში ევსევო ჰამოთელს ანუ ექსარქელს ისინი შეუკრებია ერთ წიგნად, რომელიც ოც თავს შეიცავდა და *Συναγωγὴ τῶν ἀρχαίων μαρτύρων*-ად იწოდებოდა. მეოთხე საუკუნიდან, როდესაც ქრისტიანობა ნებადართულ და სახელ-

მწიგთ სარწმუნოებად იქმნა გამოცხადებული, სისტემატიურ და მასისურ მატრი-
ლობს ბოლო მოეღო; იმან ადგილი დაუთმო, ერთის მხრით, ნებაყოფლობითი
მარტვილობას, რომელიც ვნებათა ღელვის და ხორციელ მოთხოვნილებათა დათრ-
გუნებაში გამოისატება (ასკეტიზმი); მეორე მხრით—სხვა და სხვა საქრისტიანო
სათნობათა ცხორებაში განხორციელებს (წმიდანობა). ასეთი „წმიდანობი“ და „ასკე-
ტიები“ არა ნაკლებ უურადლებას იპყრობდენ მორწმუნეთა სოციალურებაში, ვიდრე ზირ-
ველ სამი საუკუნის მარტვილნი, ამიტომ მათ მოწაფეებსა და თანამედროვეთა აწერიათ
მათი თავგადასავალი, რომლისთვისაც „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ“ დაურქმევიათ.
რაც დრო გადიოდა, მოწაფეთა აქტების და წმიდანების ცხორებათა რიცხვი მა-
ტულიადა, ასე რომ უკვე მერვე საუკუნის დასასრულს, როგორც თეოდორე სტო-
დიელის ერთერთ წერილიდანა სჩანს, არსებობდა თორმეტი წიგნი, რომელშიაც
„წამებანი და ცხორებანი“ თვეებისა და დღეების რიცხვი იყო დალაგებული.¹⁾

ამ დროის მარტვილობანი და ცხორებანი, ეგრემ მცირის სიტყვით, „თხრო-
ბის სახედ აღწერეს თანდახუთობილთა“ „ლიტონთა კაცთა-გან სოფელიურითა
და უშუერთთა სიტყუთა“ და „სიმარტივესა შინა და ლიტონობასა“ იმყოფებო-
დენ; ისინი „სეუფობად იყუნენ ენითა მსოფელეთაჲთა ძუელთა უკუე და ჰატია-
სანთა, ყოვლითურთ რწმუნებისა ღირსთა კაცთა-გან, განსა სხუებრ სიტყუთაჲ-
თჳს არა მოღუაწე ქმნილთა.“²⁾ როგორცა სჩანს, ზირველი ჰეგოკორათები ფრ-
ზეოლოგიასა და ლიტურატიურულ ფორმას დიდ უურადლებას არ აქცევდენ; ამი-
სთვის მათ, შეიძლება, როგორც უსწავლელ და გაუნათლებელ ზირთ, ძალაც არ
შესწევდათ, არც მორწმუნეთა შორის იყო ჯერ კიდევ გადაციებული ასეთი ხასია-
თის მოთხოვნილება, — იმათ საზრუნავ საგანს შეადგენდა ფაქტების სწორედ და
სისრულით აღწერვა და გადმოცემა. შემდეგ კი, დაახლოებით მათე საუკუნე-
დან, სულ სხვაგვარ მოვლენას ვხედავთ: ბიზანტიაში გამოეხატებოდა რიტორიკამ
ჰეგოკორათიასაც დასავა თავისი ბეჭედი: შინაგანი, მატურიალური მხარე მსხვერ-
ნლად ეწირება ენაწელანობას. საისტორიო მეცნიერებისთვის, რასაკვირველია,
უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს „მარტივად და ლიტონად“ აღწერილ რედაქ-
ციას, ვიდრე გარდაქმნილ-გარდამეტაფრასტიკულს, მაგრამ, სამწუხაროდ, ლიტონი
რედაქციის ტექსტები, შედარებით, ნაკლებად დარჩენილა. მიზეზი ამისა ისაჲ,
რომ, ვინაიდან ძველი რედაქცია განათლებულ წრეებსა კომუნებს: აღარ აკმაყო-
ფილებდა, ის განკებ იღვებებოდა, ყოველ შემთხვევაში ხელმეორედ აღარ იწე-
რებოდა და თანდათან დაჟოწკებს ეძლეოდა. ამით ახსენება, რომ ჰეგოკორათი-
ში ეხლა გაფანტებით დაეძებენ სწორედ ძველი რედაქციის ტექსტებს.

¹⁾ Migne-Patologia Graeca, t. 99, col. 912.

²⁾ Прот. К. Кекелидзе — Иоаннъ Ксифилинъ, продолжатель
Симеона Метафраста, Христиан. Востокъ, т. I стр. 332, 343. ჰაროფ.
ი. ჯავახიშვილი — ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 105 — 106.
თ. ეორდანიძე — ქრონიკები I, 217.

ამ შემთხვევაში მეცნიერებისათვის დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობას, რომელიც ჭავჭავაძის ნაწარმოებით განსაკუთრებით მდიდარია. წმიდათა „ცხოვრება და მოქალაქობა“ ქართულად ითარგმნებოდა არა ერთ რომელიმე ადგილას, არამედ საქრისტიანოებს ეწევა სამწიგნობრო ცენტრებში, და არა მარტო ბერძნული დედანით, არამედ აღმოსავლეთის ეკლესია იმ ენებიდან, რომლებზედაც საქრისტიანო მწერლობა არსებობდა; ამიტომ ქართულად შენახულა მთელი ციელი ძველ კარდაუქმებელ-გადაუკეთებელ „ცხოვრებათა“, სხვათა შორის ისეთი წმიდანებისა, რომელნიც მოღვაწეობდნენ იმპერიის აღმოსავლეთის ნაწილში—დამსკობადადღის სახალიფოში, რის გამო ისინი საბერძნეთში ან სრულიად არ იყვნენ ცნობილნი, ანა და მალე დავიწყებას მიეცნენ.



ქართული ჭავჭავაძის დასაწყისი ჩვენ უნდა გვითხროს ადრე არა, უფრო შემთხვევაში ქართულ ენაზე ღვთის-მსახურების შემოღების ხანაში; ეს იმიტომ, რომ საღმრთო წერილის წიგნებთან ერთად, წმიდათა ცხოვრების კითხვაც თავიდანვე ღვთის-მსახურების ერთერთ აუცილებელ ელემენტად იქმნა მიჩნეული; მასთანავე მეზუთე საუკუნეში ჩვენში უკვე უნდა ეთიოპიელი წმიდათა ცხოვრება თარგმნილი. მართლაც, მეზუთე საუკუნეში იაკობ ხუცესის შეუღებია წმიდა შუშანიკის მარტვილობა; რასაკვირველია, იაკობი თავისთავად ისეთს ვერაფერს დასწერდა, რის მგალობითი და ნიმუში არ ენახოს; უკმაყოფილოა, მას ხელთა ჭქონდა მსოფლიო ეკლესიის მარტვილობა აქტები, რომელთა მიზანით იმან დასწერა შუშანიკის წამება. მართლაც, უკანასკნელს ჩვენამდე ზირვანდელი სახით არ მოუღწევია, მაგრამ იმაში მანაც ნათლად გამოისახვის უსტეკეს მარტვილობათის შაბლონები. ესეც რომ არ იყოს, შუშანიკის წამებაში ზირვანდელის ნათქვამი, რომ მან, შუშანიკმა, როდესაც ის წაიყვანეს ზიტახს ვასქენთან, „თანაწარტანსა ეკანგელს თუნი და წმიდანი იგი წიგნი იმოწამეთანი“¹⁾. თავისთავად ცხადია, აქ იგულისხმება წიგნი მსოფლიო ეკლესიის მოწამეთა და არა ქართველთა (და არც სომეხთა), ვინაიდან შუშანიკის დროს ქართველი მოწამებები და მათი ცხოვრებანი ვერ კიდევ არ ეთივლან; არც ისაა სათქმელი, რომ „წიგნი იმოწამეთანი“, რომელნიც შუშანიკს თან დაჭქონდა, ბერძნული წიგნები იყო. მასთანავე, შუშანიკის დროს მოწამეთა წიგნები უკვე ეთივლა ქართულად თარგმნილი. რამოდენამდე ამასვე ამტკიცებს წმ. რაქდენის († V სსუკ.) გადამეტაფრასტეზული ცხოვრება, სადაც ნათქვამია, რომ ის, წმ. რაქდენი, „მარადის გამოკლევიდა ცხოვრებას წმიდათას და უფრომად მოწამეთა-თუ სურვიელ იყო და ჭტარიდა ცხოვრებას მათსა და აღსარულსა“²⁾ უფრო შემთხვევაში, მეშვიდე

1) ს. გორგაძე—„იაკობ ხუცესი, წამებამ წმიდისა შუშანიკისა“, გვ. 7, 4—5, ქუთაისი 1917 წ.

2) მ. საბინინი: საქართველოს სამოთხე, გვ. 172. შუად. P. Peeters—S. Razden le Persan. Anal. Bolland. tom. 32, p. 308, 1914 an.

საუკუნეში ქართველებს უკვე მდიდარი ჰეგოკრაფიული მწერლობა ჰქონდათ. ამის დასმტკიცებლად საჭიროა ურადლება მივაქციოთ შემდეგ კარგობას. ჰეგოკრაფიაში უკვე ცნობილია, რომ სხვა ღ სხვა მწვალებლებს, სეკტანტური მოსაზრებით ღ მიზნით, ძველადანვე დაწყებით მარტვილობათა და ცხორებათა შერევა-დამახინჯება; ისინი ან თვითონ ადგენდნენ ცრუ და უაღბ აქტებს, ან და უკვე არსებულში შექმნილათ თავიანთი ტენდენციები და ისეთი დაუჯერებელი ამბები, რაც ჰეგოკრაფიულ ნაწარმოებს საზოგადოთ სახელს უტყენდა. ამის შესახებ ეფრემ მცირე შემდეგს გადმოგვცემს: „რომელნი იგი მამინ, ვითარცა უამი მისცემდა, თხრობის სახელ ოდენ აღიწერნეს თითოეულისა წმიდათაგანისა თანდახუთმილისა ვის-განმე და არა ხოლო ლიტონობას მას და სიმარტივეს შინა დაშეთს; არამედ რომელნიმე მათგანნი განრუქუნესცა კაცთა მიერ ბოროტთა მწვალებელთა, რომელთა ღრუნი იგი სიტუუანი მათი თანამეჭრისს ლიტონობას მას თხრობისსა და ცრუებათ მით მართალიცა შეამრდეს და სეკუეელ ეგის“. 1) ამ კარგობებამ გამოიწვია შექმნილ მსოფლიო კრების (691 წ.) 63 კანონი, რომელიც ასე იკითხება: „რომელნი იგი მტერთა მიერ ჰეშმარტებისათა სატუყარნი წამებანი წმიდათანი შეიწმისნეს, რათა მოწამინაცა ქრისტესნი უხატო იეფნენ და ურწმონებისა ზატვიათა დასაჯენ მსმენელნი, ვბრძანებთ, რათა არგენ შემთხინეს საერთოდ ეკლესიასა შინა, არა. მედ ცეცხლითა გამოაიურუნენ იგინი: ხოლო შემწყნარებელთა მათთა ანუ ვითარცა ჰეშმარტებისა მიმთაუღველთა და მრწმონებელთა შეგანგებთ“. 2) ამხარად შეჰედე საუკუნის დასასრულს ეკლესიაში დამუარდა ერთგვარი ჰეგოკრაფიული ცენზურა; ამას თან დაერთო ბარბროსობა ხატმბროლოთა, რომელნიც თავგამოდებით სდგენდნენ ეფელიკე იმას, რაც წმიდანებს და მათ კულტს მოაკანებსდა. ამის შეკონიით შეცნეიერებს სამუდამოდ დაეკარგა მრავალი უსვიორფასქისი ნაშთი ძველი საქრისტიანო მწერლობისა. საბედნიეროდ, აღნიშნული ცენზურის გამოადახილს საქართველოში შედარებით გვიან, მათე საუკუნის კასულს, მოუღწევია“), და მისთვის აქ მაინც და მაინც დიდი ურადლება არ მიუქცევიათ; ამით ახსნეება, რომ ქართულ ენაზე მრავალი ისეთი „ცხორება“ და „წამება“ გვხვდება, რომელთა დედანი დაკარგულია; ამათგან ზოგაერთი ისეთი ფანტასტიური შინაარსისა და რადაც საუცხოო, დაუჯერებელ „სასწაულებით“ აღსავსე, რომ შე-

1) საეკლ. მუხ. ხელნ. № 90, გვ. 310. ჩვენი—Иоаннъ Кеффилинъ, про-должатель Симеона Метафраста (Христ. Вост., томъ I, стр. 332).

2) საეკლ. მუხ. სჯულისკანონი, № 9, გვ. 158.

3) აღკრძალულ წიგნთა ინდექსში, რომელიც ევთიმე მთაწმინდელს წარმოუგზავნია ვინმე თედორე ხუცისათვის, სხვათა შორის მოხსენებულია: 1) ევსევი ჰამფილელის, აღბად ზემოდ მოხსენებული, მოწამეთა წიგნი, 2) მოციქულთა ცხორებანი, 3) წმ. გიორგის წამება, რომელსაც „დადიანისი“ ეწოდებინ, 4) წამება წმ. კრიკოსი და 5) სხუანი რომელიც ვსევითარიმე ნატყუარნი, მრავალ არიან სახელები მათი (საეკლ. მუხ. № 450, გვ. 562—564, № 381, გვ. 491—592. მ. საბინი-ნი—საქართველოს სპობზე, გვ. 433).

ეჭველე მსოფლიო კრების 63 კანონში ნაკულისხმევ თხუხულებებს მოგვაცნობს; ¹⁾ უეჭველია, ამგვარ თხუხულებების შექმნის მსოფლიო კრების შემდეგ, მერვე-მეთექვსმეტე საუკუნეში, ადვილად გვლარც კი იშოვიდნენ გადასათარგმნელად.

ჩვენამდე დარჩენილი ჰაგიოგრაფიული კრებულები ერთი და იმავე შინაგან-დაგვიერი ტიპისანია, სხედლობა იერუსალიმის; ეს იმის მომასწავლებელია, რომ ჩვენ ჰაგიოგრაფიულ მწერლობას საფუძვლიანი იერუსალიმში ჩავყარა; ეს იქი-დანაც სიხსნის, რომ ჩვენდრომდე შესახულა ეგრედწოდებული „ზალესტინის ზატერის“ თარგმანი, ²⁾ რომელიც შესრულებულია ზალესტინაში, წმ. საბას ლავრაში. ³⁾ ზალესტინის გარდა წმიდათა ცხორებანი და წამებანი ითარგმნებოდა აღმოსავლეთის სხვა ზუსტებში, კერძოდ შავთაზე, სვიმეონ, მესეპტის მონასტერში, სადაც ქართველები ბლომად მოღვაწეობდნენ, აგრეთვე თვით საქართველოშიც. მერვე საუკუნიდან ტოკლარჯეთში ფესს იმაგრებს ქართული სიმონასტრო კოლონიზაცია; აქ სომეხთა საეკლესიო მოღვაწეობით განზობიერებულ ნიდაგზე, მეზობელი ბიზანტიის კულტურის ცხოველყოფილ სხივების ზეგავლენით, გაიფურჩქნა ქართული სასულიერო მწერლობა, კერძოდ ჰაგიოგრაფიაც. იმსხანი. მიმსძორი, შატბერდი, ხანთა, თბიზა და სხვა სახანი, უმეტესად გრიგოლ ხანძთელის და მის მოწაფეთა მიერ აღშენებულ-გამშენებურებულნი, გადაიქცნენ ქართულ მწიგნობრობის აკვნად. უეჭველია, ამ დროს დამუშავდა და დამზადდა მთავრებული ნაწილი იმ საჰაგიოგრაფიო მასალისა, რომელიც შეადგენს შინაარსს ორ უდიდეს და უსრულეს კრებულისას: ათინის (ივერიის მონასტრის ხელნაწ. № 57) და ზარხადისის (საეკლ. მეზ. № 95). მერვე საუკუნეში განადგობელი ისტრისური სჰაგიოგრაფიო მუშაობა გრძელდება მათე საუკუნის დამლევამდე, როდესაც საქართველოში შემოიჭრა ჰირველი საკადი მეტაფრასტურული მწერლობისა.

მართალია, ქართული ჰაგიოგრაფიულ მწერლობის შესწავლა ჯერ ხეირიანად არც კი დაწყებულია, მაგრამ ის ცოტა რამ, რაც გაკეთებულა ამ დარგში (აკად. ნ. მარის, შრომ. ი. უიფშიის, P. Peeters-ის და ჩვენი შრომები და გამოცემები), საკმაოდ ნათელყოფს, რომ ქართველებს ძველად წმიდათა ცხორებანი და წამებანი უთარგმნათ ეუკლა საქრისტიანო მწერლობის ენებიდან, როგორც ა, მაკალითად, სომხური, არაბული, სერული, ბერძნული და კომ-ტური.

¹⁾ ჩვენ ამგვარი ნაწარმოები წინათაც გამოავიციოა, მაგალითად—წამება წმიდა ალათანგელისი, დამასკელ კათალიკოზისა (Христ. Востокъ, т. IV, вып. 3, стр. 246—283), რომელნიმეს ეხლა ვსევმთ, ამ პირველს ტომში, სხვენს შედგე დავბეჭდავთ.

²⁾ ერთი ცალი ამ პატრიოისა დაცულია ბრიტანიის მუზეუმში (Add. 1281 — 2764). იხ. ჩვენი გამოცემა—Житие и подвиги Св. Иоанна, католикаса Урхайскаго (Христ. Вост. т. II, вып. 3, стр. 307—311).

³⁾ Ibid. стр. 310.

ძველს, ჰირველთარგმნილს რედაქციას წმიდათა ცხორებისას, ეფრემ მცირის მოწმობით, ქართულად „კიმენი“ ერქვა. ეფრემის სიტყვით, სვიმონ ლოდოთეუმს, როდესაც ის წმიდათა ცხორების გადამეტყუარებას შეუდგა, „წინადადვსა ძველი იგი მოწამეთამ, რომელსა კიმენ უწოდან, ესე იგი არს მდებარე“¹⁾. წმიდა მინის ცხორების ბოლოში ის შეინიშნავს, რომ „კიმენი ეწოდების ჰირველ ლიტონად აღწერილსა წიგნსა მოწამეთასა“²⁾ იოანე ქსიფილინოსის კრებულის წინასიტყვაობაში ჰირდაპირაა ნათქვამი, რომ მეტაფორასტულ რედაქციათა მასლას ამოღებულა „ძველისა კიმენისა-გან“, ან „ძველთა-გან კიმენთა“³⁾ სიტყვა „კიმენი“⁴⁾, რომელიც განსუენებულ თ. ჟორდანას V—VI საუკუნის მთარგმნელის სახელწოდებად მიაჩნდა,⁵⁾ არის ბერძნული Κεϊμενον-ი. რაც, როგორც თვით ეფრემ მცირე ამბობს, „მდებარე“-ს ნიშნავს. მაშასადამე „კიმენად“ ძველ მარტვილობა-ცხორებათა ხელშეუხებულად მდებარე, შეუსწორებელი და განუმარტებელი ტექსტი აწოდებოდა, რომელიც „შემოკლებით და ლიტონად აღწერილი“ იყო „ზატიოსანთა და დირსთა კაცთა-გან“, „სხუებრ სიტყუათა-თჳს არა მოღუაწე ქმილთა“⁶⁾ ძველს ქართულს მწერლობაში „კიმენი“ ეწოდება აგრეთვე საღმრთო წერილის ტექსტსაც: ტექსტი განიხიევა მის-გან მარტება-თარგმნებისგან; რათა ამ ორ ცნებათა აღრევა არ მომხდარიყო, ამბობდენ და სწერდენ, მაგალითად, ასე: „და მუის იქმნას კითხვამ საქმიას-გან წმიდათა მოციქულთამს კიმენისა“⁶⁾. „კიმენი“ ჩვეის ფილოსოფიურ მწერლობაშიცაა ხსენარი: იოანე ზეტრაწმა, როგორც ვიცით, სთარგმნა ჰროკელე დიადოხოსის „კაგშირი“, რომელსაც საკუთარი სქოლეები დაურთო; ჰირველ თავის დასაწიასიძვე ნათქვამია: „შეისწავე, რამეთუ ესე წიგნი „კიმენ-სხოლოდ“ აღნაწერი“ არისო.⁷⁾ ეს ტერმინი ბერძნულს მწერლობაშიაც იყო ხმარებული: ბიზანტიის იურისტ-კომენტატორები კანონის ნამდვილს ტექსტს Κεϊμενον-ს უწოდებდენ, ხოლო ამ კანონების ახსნა-განმარტებას, რომელიც მათ ეკუთვნოდა,— *ἄρδια-ს*⁸⁾.

ჩვენ ზემოდ მოვიხსენეთ, რომ ევსევი კესარიელის ჭკიოვრანოფიული თხუზულება, — *Συναγωγῆ* ოც ნაწილად ან თავად (*Ἀγῶσι*) იყო გუოფილი.

¹⁾ ჩვენი—*Иоаннъ Ксифилинъ*.. (Христ. Вост. I, стр. 333).

²⁾ *ibid.*

³⁾ *ibid.* стр. 340, 343.

⁴⁾ ქრონიკები I, 223.

⁵⁾ *Иоаннъ Ксифилинъ*... стр. 343.

⁶⁾ Прот. К. Кекелидзе—*Литургические грузинские памятники вь отечественныхъ книгохранилищахъ и ихъ научное значение*, стр. 317, Тифლისъ 1908 г.

⁷⁾ მ. ჯანაშვილი—*ქართული მწერლობა*, წიგნი II, გვ. VI, თბილისი 1909 წ.

⁸⁾ *Pitra—Iuris eccles. gr. hist. et. monumen.* II, p. 458, not. 4. *Bieber—Geschichte d. Nov. Justin.* p. 205, not. 118.

შემდეგ დროს ჰეგოგრაფიულ კრებულში მარტვილთა-ცხოვრებათა გარდა შექმნიდათ აგრეთვე მოწამეთა და წმიდათა დეიობას წარმოსთქმული ქადაგება-შესხმანი, ეგრედწოდებული ენკომიები; თვითვე წმიდანის ცხოვრება ან მის სხელზე წარმოსთქმული შესხმა ასეთ კრებულში ცალკე თავად ითვლებოდა, ისე რომ კრებულში იმდენი ავაი იყო, რამდენი წმიდანის ცხოვრება. აი სწორედ აქ უნდა ვეძიოთ მნიშვნელობა ერთი ტერმინისა. რომელიც ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება: ეს ტერმინია — მრავალთავი. იუერიის მონასტრის მეათე საუკუნის ხელნაწერში № 50 გვიხსენებთ ასეთ შენიშვნას: „თა სვეტ ბერსა 44: წამებაჲ ზაქარიაჲსი. ზოთ მრავალთავსა“¹⁾ გიორგი მთაწმიდელის სჯნქსართ. ამაღლების შემდეგ ცისკარზე იკითხვის „საკითხავი მრავალთავისა-განა“²⁾. ამ ამონაწერებიდანაც სჩანს, რომ „მრავალთავად“ ისეთი წიგნი იგულისხმება, რომელიც წმიდათა მარტვილთა-ცხოვრებას შეიცავს. ეს უფრო ცხადან იოანე ქსიფილიანის სიტყვებიდან, რომელიც თავის თავს „შუღთა თთუეთა შინა მოკესებულთა წმიდათა ცხოვრებათა და მოქალაქობათა და წამებათა და ღუაწლთა ძუელისა კიემისა-გან, რომელსა ვიეთნივე მრავალთავადცა უწოდენ“³⁾, გარდამეტარასიტყვებს ეძახის, ხოლო თავის შრომას, — ამ საკითხავთა, „რომელნი მოჭქანან ძუელთა კიემთა, ესე იგი არს მრავალთავად წოდებულსა წიგნსა შინა შემოკლებით და ლიტონად აღწერილთა წამებათა“, გადამეტარასიტყვებს⁴⁾. მამასადამე „მრავალთავი“ წმიდათა მარტვილთა-ცხოვრების კრებულს ეწოდება: ასეთი სახელი ამტომ ჰქრევა ამ კრებულს, რომ იმაში არა ერთი ცხოვრება და შესხმა, არამედ მრავალი. ხვეწ მოგუბოვება ცნობა „მრავალთავის“ რამდენიმე ცალის შესახებ. გრიგოლ ხანძთელის მოწამის, მკარის, მიერ იერუსალიმში სინას მთისათვის 864 წელს გადაწერილს კრებულს, რომელიც ცხოვრება-მარტვილობას და წმიდა მამათა ქადაგებებს შეიცავს. როგორც თვით „შემქმნილი“ მკარი, ისე „შემოსული“ იოანე „მრავალთავს“ უწოდებენ⁵⁾ შელქისედეკ კათოლიკოსის 1120 წლის გუჯარში ნათქვამთა, რომ მას მცხეთის ტაძრისათვის, სხვა წიგნებთა შორის, შეუწირავს „მრავალთავი ერთი“⁶⁾ აღიშის სახარების მისწერიდან სჩანს, რომ ჟუბითის უოფელ მამასახლისს, ვიდაც ნიკოლოზს, შემოუღლია კლარჯეთი და იქურ მონასტრებიდან გამოუტანა, სხვათა შორის, „მრავალთავი“, რომელსაც

1) Абад. Н. Маррь—„Агиографическіе матеріалы по грузинскимъ рукописямъ Ивера“, ч. I, (Зап. Восточн. отд. Импер. рус. Археологич. Общества., т. XIII), стр. 5.

2) საიკლ. მუხ. ხელნ. № 222, გვ. 570.

3) Іоаниѣ Ксифилинѣ (Христ. Вост. т. I, стр. 340—341, 343).

4) Проф. А. Цагарели—Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности, вып. II, стр. 92—93.

5) А. Натроевъ—Мцхетъ и его соборъ Свети-Цховели, стр. 211, Тифлисъ 1900 г.

ელა გურიაში, უდაბნოს მონასტერში, აწვეებენ.¹⁾ „მრავალაჲვად“ უნდა შეი-
რაცნოს შემდეგი ჭკავიკრათიული კრებულები, რომელთაც ჩვენამდე მოუღწე-
ვათ: 1) ეგრედ წოდებული სვანეთის კრებული (საეკლ. მუზ. № 14),
რომელშიაც 73 თავი დარჩენილა; 2) შარხალის სელნაწერი (საეკლ. მუზ. № 95),
რომელიც 151 თავს შეიცავს; 3) ათონის ივერიის მონასტრის სელნაწერი (№ 57),
რომელშიც 61 თავია; 4) 1038—1040 წლებში გადაწერილი სელნაწერი, რომ-
ელიც დღეს Bibliothecae Bodleianae Oxoniensis ეკუთვნის და 50 თავს
შეიცავს²⁾; 5) ჯუარის მონასტრის 1034—1042 წლის პეტრიკი, რომელიც ბრი-
ტანიის მუზეუმში ინახება (Add. 11281—2764) და 12 თავს შეიცავს;
6) სინას მთის კრებული № 62 (ნ. მარის აღწერილობით, ცვარლის კატალო-
გით № 52), რომელშიაც 22 თავია; 7) იერუსალიმის საპატრიარქო წიგნთსაც-
ვის სელნაწერები № 23³⁾ და № 34⁴⁾ რომელნიც თავდაპირველად ერთ მთლიან
სელნაწერს შეადგენდნენ და სულ 28 თავს შეიცავენ.

* *

ქართული „ქიქინ-მრავალთაჲ“ საბოლოოდ შეათე სუკუნის გასულს ჩამო-
ყალიბდა. ვინ, როდის, ან რომელი ცხორების-მარტვილობა სთარგმნა, ამის გამო-
სრვევად, სიმწეროდ, არაკეთარი მასალა არ მოგვეპოვება, ვინაიდან უძვე-
ლესი ზერილი ჩვენი მწერლობის, კერძოთ ჭკავიკრათისა, სიბნელითაა მო-
ცული. მხოლოდ შეათე სუკუნეში შეკვიძლია დავასახელოთ რამდენიმე ჭკავი-
კრათი-თარგმანი, რომელთაც ძველი რედაქციის „ცხორება“ გადმოჲლიათ.

დავით ტბელი, resp. ტბელიძე, მტბევარი; ამის უთარგმნია:
1) ცხორებაჲ და მოქალაქებაჲ ნეტარის მართაჲსი, წმიდის სუმეანის
დედისაჲ; ⁵⁾ 2) ცხორებაჲ და მოქალაქებაჲ წმიდის და ნეტარის მამი-
სა ჩუენის ბარლამ მოღუწისაჲ, რომელი იყო მთას კაცკასსა; ⁶⁾ 3) ცხორებაჲ
და სკარველებანი წმიდის და ნეტარის მამის ჩუენის გრიგოლი ეპისკოპოსის-

¹⁾ Материалы по археологии Кавказа, вып. XIV, стр. 12—13, Москва 1916 г.

²⁾ ეს ხელნაწერი აღუწერია P. Peeters-ს, Analecta Bollandiana, t. XXXI, p. 301—318.

³⁾ Н. Марр — Жизнь Григория Хандзиттскаго, стр. XXXVIII—XLI.

⁴⁾ В. Велещевичъ — О древнемъ Иерусалимскомъ спискѣ грузинской Минеи Четвей (Христiан. Востокъ, т. I, вып. I, стр. 65—68).

⁵⁾ ათონის ივერიის ხელნაწ. № 55. (Н. Марр — Агиографическіе материалы по грузин. рукописямъ Ивера; ч. I, стр. 46); საეკლ. მუზ. ხელ. № 42 (Θ. Жорданія — Описание рукописей Тифл. цер. музея, I, 149).

⁶⁾ ათონის ივერიის ხელნაწ. № 55. Н. Марр — Агиографич. матеріалы... ч. II, стр. 109—144.

სა, აკრავნთელთა ქალაქისაჲ, რომელ არს სიკილიისაჲ¹⁾ 4) მასვე უთარგმნას რამდენიმე თხუზულება გრიკოლი ღვთის-მეტყუელისა, სახელდობრ: ა) შესხმა და ქება წმიდისა მღვდელმწამისა ეკზრიანესი,²⁾ ბ) მიზეზისათჳს ზნეტოდ ლტოლვისა მისისა და უკუქტევისა, გ) სიტუჳს მამისა თჳსისა გრიკოლისა და ბასილი დიდისადმი, დ) განქიქებანი ესჯულომსა იფიანე განდგომილისანი.³⁾ ვინ იჳო ღვით ტბელი ან როდის ცხოვრობდა ის? ქართული სკელ შწერლობის ისტორიაში ჩვენ ვხვდებით ერთად და განუერულად ორ სახელს: დავითსა და სტეფანეს. „ძველსა წიგნსა შინა მიხილავს მე, ზაქარია მოძღუარსა, და მუნით გარდამომიწერიეს, მრავლით უამითგან უწინარეს ეფთიმი და გიორგი, წმიდათა მამათა მთარგმნელთასა, დავით და სტეფანე, ქართველთა გვარისანი, აერუს-ლიმს მიიწინეს და მუნ შეემეცნეს ელლინთა ენაშუებასა; და ზირველად მათ გარდამოთარგმნეს რადენინიმე საეკლესიონი წიგნი ბერძულისა-გან ქართულად, და არაბთა ენისა-განცა საღმრთონი წიგნი გარდამოიღეს მრავლითა შრომითა.“⁴⁾ ეს ამინაწერო, რომელიც არაფერს არ გვეუბნება იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ დავით და სტეფანე, როდის „მოიწინეს“ აერუსლიმს და სთარგმნეს საეკლესიონი წიგნი, ეკუთვნის მეთურამეტე სავაჳნის შწიკობას, მოძღუარს ზაქარია გაბაშვილს. მეთექვსმეტე საუკუნის მოღუწე, მეფის ძე ბაგრატე, თავის შრომაში, რომელსაც „მოთხრობა სჯულთა უღმრთთა ისმაილიტთა“ ჰქვია, ამბობს: „იუვნეს უაჳე უწინარეს მოჰმედისა განნი წმიდანსა და სასწაულთ-მოქმედანი, ნათესავით ქართველნი, დავით და სტეფანე... რომელნი წარვიდეს აერუსალიმს... და გვითარგმნენს ჩვენ წიგნები უოველი ბერძულისა-გან ქართულად.“⁵⁾ როგორც ვხედავთ, არც ბაგრატე ეკაილავს გარვეველ ცნობას დავით და სტეფანეს ქრთოლოგიის შესახებ; ამით იხისნება, რომ აკად. ნ. მარს terminus post quam მათი მოღვაწეობის გადაჭვს ხან შეშვიდე საუკუნეში,⁶⁾ ხან მეგრე-მეცხრეში⁷⁾, ხან მეათეში⁸⁾. უფრო გარვეველს და უტუჳარ მასდას ამ საკითხის გასშუქებლად ჩვენ შეთერმეტე-მეთორმეტე საუკუნეში ვბრუდობთ.

1) В. Бенешевичъ—О древнемъ Іерус. снскѣхъ груз. Миней-Четьей (Христ. Вост. т. I, вып. I, стр. 67); წერაკითხვის საზოგ. ხელნაწ. № 384, გვ. 771--856.

2) სავკლ. მუზ. ხელნაწ. № 1, გვ. 845, № 87, გვ. 678.

3) სავკლ. მუზ. ხელნ. № 87, I, 16.

4) Н. Марръ—Изъ книги царевича Баграта о грузин. переводахъ духовныхъ сочиненій... (Извѣст. Акад. наукъ, т. X, № 2, стр. 234).

5) *ibid.* გვ. 239.

6) *ibid.* стр. 241, прил. I.

7) Изъ поѣздки на Афонъ (Журн. мпн. народ. прос. Мартъ 1899 г. стр. 5).

8) Агиографическіе матеріалы по груз. рук. Ивера, ч. II, стр. 106; ამ შემთხვევაში ის თარგმანებათა ერთი და სტილით ხელმძღვანელობს.

ეფერემ მცირე ერთს თავის შრომაში მოკვითსრობს, რომ სვიმეონ ლოდოთე-ტის მეტაფრასებიდან ქართულადაც „ითარგმნეს მცირედნი, ვითარ იგი არს წმი-დის არტემისა და კრიტელთა და ელეუთერისი, რომელნი უთარგმნიან წმიდა-სა მამას ჩუენსა დავით ტბელსა... ეგრეთვე სინატრელსა სტეფანეს სანანოას ძეს უთარგმნის საკითხავი დაუჯდომელთა და ცხორება თეატისტე ლეზუე-ლისა და სსუნიცა“¹⁾). რუის-ურბნისის კრების ძეგლის-წერაში ნათქვამია: „დი-სთა მამათა ჩუენთა დავით ტბელისა და სტეფანე სანანოას ძის საუკუნომცა არს კსენება და კურთხევა მათი.“²⁾ მიქელ მოდრეკილის საგალობელშიც ვხვდებით ჩვენ სტეფანე სანანოას ძის და დავით ტბელის სანელებს ერთად.³⁾ ცხადა, „ძველი“ თარგმანი, დავით და სტეფანე, არიან დავით ტბელი, ან მტბე-ვარი უბისკობაში, და სტეფანე სანანოას ძე, რომელნიც თანამედროვენი ყოფი-ლან და ამიტომაც ერთად იხსენიებიან. სტეფანე სანანოას ძე არის ცნობილი სტეფანე, ჭეონდიდის ეპისკოპოსი, როგორც ესა სჩანს მიქელ მოდრეკილის საგალობლის ერთ მინაწერიდან: „ქ. სტეფანე ჭეონდიდის ქ. ნეტარისანი. სა-ნანოას ძისანი“⁴⁾). თვით სახელწოდებანი—ტბელი, resp. მტბევარი, და ჭეონ-დიდელი, ნათელჰყოფენ, რომ სტეფანესა და დავითს უნდა ეცნოურათ და ემადლაწ-ნათ არა უადრეს მეათე საუკუნისა; ჩვენ შეგვიძლია უფრო დაახლოვებით გან-ვსაზღვროთ მათი ცხოვრების დრო. ექვთიმე მთაწმინდელი თეოდორე საბაწმი-დელის ერთერთ შეკითხვავს უპასუხებს: „უკსევი ზამთიელელის წიგნი... ქარ-თულად ვისე უთარგმნია... და სიდოცხელსა ნეტარისა მამისა იოანესსა მოწე-რა ქართლით სტეფანე ეპისკოპოსსა ჭეონდიდისსა და ეკითხა, ვითარმედ შესა-წერარებულ არს კითხვავ წიგნისა ამის ანუ თუ არა? ხოლო ჩუენ მოუწერეთ მას; ვითარმედ არა შესაწერარებულ არს.“⁵⁾ თეოდორე შეკითხვება იოანე მთა-წმიდელს, მას ზასუხს აძლევენ მამა და შვილი (ჩუენ მოუწერეთ); სჩანს სტე-ფანე სანანოას ძე და მასთან ერთად დავით ტბელიც იოანე ათონელის (†998) თანამედროვენი ყოფილან, მამ იმათი სამწერლო მოღვაწეობის დროდ მეათე სა-უკუნის მეორე ნახევარი უნდა მივიჩნიოთ; ამას ამოწმებს მათი თარგმანებათა ესაც, რომელიც მეტად მსუბუქია და თვალსაჩინო არქანსემკის მოკლეუბლი; უფრო დაახლოვებით, მათ უმოღვაწიათ მეათე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედ-ში; მართლაც, თუ, ეფერემის მოწმობით, მათ სვიმეონ ლოდოთეტის მეტაფრას-ებებ სთარგმნეს ავტორისავე სიდოცხელში, თავისთავად ცხადია, ისინი ყოფი-

1) საეკლ. მუხ. ხელნ. № 90, გვ. 312B, — 313A.

2) მ. საბინინი-საქართველოს სამოთხე, გვ. 530.

3) თ. უორდანია—ქრონიკები I, 113—114.

4) *ibid.*, გვ. 113. პ. ინგოროცვა—ძველქართული სასულიერო პოეზია, გვ. 45A.

5) მ. ჯანაშვილი—საუნჯე მეათე საუკუნისა, გვ. 29—30, ტფილ. 1891, მ. საბინინი—საქართველოს სამოთხე, გვ. 432—433.

დან თანამედროვენი სვიმეონის მეტაფრასტული მოღვაწეობის, რომელიც; როგორც ესლა მტკიცედ დასაბუთებულია, 982 წელს დაიწყო¹⁾.

ექვთიმე მთაწმიდელი ყველაზე მეტად დამშურალა ძველი რედაქციის წმიდათა ცნობების თარგმანებით. როგორც მისი „ცხოვრება“ მოგვიხსენებს, ჯერ კიდევ მეთუ საუკუნეში, მას უთარგმნია: წამებანი 1) თეოდორე სტრატოლატისა, 2) მთავარმოწამის დიმიტრისი, 3) სტეფანე ახლისა, 4) სმთა ერმთა: ალთიოს, ფილადელფიოს და კურნესი, 5) კლიმი ანკრელისა, 6) წმ. აკევისიამასი, 7) წმ. შინა და ერმოგენისი, 8) წმ. ფებრონიამსი, 9) წმ. ანთიმოასი, 10) წმ. ვლასისი, 11) ორთა ბეგრთა, 12) თეოდორე პერკელისა, 13) წმ. ეესტრატისი, 14) წმ. ეესტათისი და შვილთა მისთა; ცხოვრებანი — 15) ანტონი დიდისა, 16) ათანასი დიდისა, 17) ნიკოლოზ მირონლუკისა, 18) მაქსიმე აღმსარებელისა, 19) ბასილი დიდისა, 20) გრიგოლი დუთისმეტეველისა, 21) ბაგრატ ტავრომენიელისა, 22) ონოფრე მისოფრისა, 23) მარამ მეგვიზტელისა; შიმოსვლანი და ქადაგებანი 24) იოანე მხარებელისა და 25) ანდრია მოციქულისანი. 2) აქ ჩამოთვლილ ცხოვრება-წამებთა გარდა, რომელთაც სხვა და სხვა ხელნაწერებშიც ვხვდებით, წმ. ექვთიმეს უთარგმნია კიდევ ისეთი რამ, რაც მის ბიოგრაფს აღნიშნული არ აქვს, მაგრამ ხელნაწერებით დამოწმებულია, სხელდობრ: 26) ცხოვრება დთის-შობლისა, მაქსიმე აღმსარებელისა (საეკლ. მუხ. № 40), 27) გრიგოლი, ჰრომთა პაპისა (საეკლ. მუხ. № 130), 28) გრიგოლ ნოსელისა (საეკლ. მუხ. № 142), 29) იოანე სინელისა, კლემქის აღმწერელისა (საეკლ. მუხ. № 134) 30) თქუშული წმიდისა და ნეტარის მამის ჩუენისა ანდრია კრიტელ მთავარკნისკოპოზისა და ამოების-თვს კაცობრივთა საქმეთა და შესუენებულთა-თვს³⁾ და სხვა მრავალი სწავლა-მოძღვრებანი, ქადაგებანი და ენომიები, წმიდათა ხსენების დღეს წარმოსათქმენი⁴⁾.

ამთ გარდა სხვა ჰეოგრაფ-თარგმანებს უსეველეს ზერიადისან ჯერჯერობით ვერ დავასსეკლებთ; ეს კი ცხადია, რომ ისინი ბლომად უოფილან, ვინაიდან ერთი და იგივე ცხოვრება-მარტვილობა სშირად ორი სხვა და სხვა რე-

¹⁾ Прот. К. Кекелидзе—Симеонъ Метафрастъ по грузинскимъ источникамъ (Труды Киевск. Духовн. Академіи, февраль 1910 г. стр. 9)

²⁾ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, გვ. 28—29.

³⁾ იერუსალ. საპატრიარქო წიგნთსაცავის ხელთნაწ. № 2; Н. Марр — Житіе Григорія Хандзітійскаго, стр. XL.

⁴⁾ ჩამოთვლილთ გარდა ექვთიმეს, მისი ბიოგრაფის სიტყვით, უთარგმნია კიდევ წმ. მოწამე პროკოპის და კლემენტოს, ჰრომთა პაპის, ცხოვრებანი, მაგრამ არა ძველი, არამედ, როგორც ვერემ მცირე მოწმობს, ახალი, მეტაფრასტული, რედაქციისა.

დაქცით გვხვდება; წმ. ქრისტოფორეს და ზნობანის ცხორებას, მაგალითად, სამი რედაქციით მთელწევია ჩვენამდე, რაც თავის ადგილას იქნება აღნიშნული.

მეთუ საუკუნის გასულს ჰაგიოგრაფიაში სახლი ხსნა იქცეა. ქველი, კიმი-
ნის, რედაქცია, როგორც ზევითა ვთქვით, ადრევე შეირქუნა; თან, „ლიტონად
და მარტივად აღწერილი“ და „ენითა შსოფელეთათა შეწეობილი“, ის ვე-
ლარ აკმაყოფილებდა იმ ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომელმაც თავი იჩი-
ნა ბიზანტიაში მეცხრე საუკუნეში და მათეში უმწვერვალესად განვითარდა.
ამიტომ საბერძნეთის ეკლესიაში იქვეს ქველი ტექსტების შესწორება და მათი
გავრცელება-შემკობა; ამხარად ჰაგიოგრაფიაში წარმოიშვა სახლი, მეტაფრას-
ტული, რედაქცია. „საქმე ესე უზირატეს მიაგონა კანძმან ვინმე ფრიად სიტყურ-
მან“ ..., ქველ ცხორებათა „დექსითა და შეწეობითა ზირად-ზირადად და კელფ-
ნად თავისა თვისისა მიერ შემამკობელმან და უკეთილსათქუელად და უმჭერესად
აღმწერელმან“¹⁾. ეს იყო ბიზანტიის გამოჩენილი შეწავალი სვიმეონ ლო-
ლოთეტი, მეტაფრასტად წოდებული. მიუხედავად ამისა, რომ სვიმეონ მეტა-
ფრასტით მეცნიერება მეჩვიდმეტე საუკუნიდანაა დაინტერესებული და მის შეს-
ახებ ფრცვლი ლიტერატურა აწესობს²⁾, ჩვენ ბოლო დრომდე არც კი ვიცო-
დით დანამდილებით, როდის მოღვაწეობდა ის და რას წარმოადგენდა მისი მეტა-
ფრასტული შრომა. ამ საკითხს-შუქი მოეფინა ამ რამდენიმე წლის წინად ქარ-
თულ მასალების საშუალებით. ჩვენს ხელნაწერებში აღმოჩნდა ორი დოკუმენტი:
ერთი, რომელსაც ჰქვია „მოსაკუნებელი მცირე სუბიანის-თს ლოლოთეტისა,
თხრობად მიზეზთა ამთ საკითხავთა თარგმნისა-თს“, ეკუთვნის ეფრემ მცირეს,³⁾
ხოლო მეორე, რომელიც ჩართულია გელათის ერთერთ ხელნაწერში,⁴⁾—იანე
ქსიფილიანისს. ამ დოკუმენტებით ირკვევა, რომ სვიმეონ ლოლოთეტს გადაუ-
მეტაფრასტებია შემოდგომისა და ზამთრის თვეთა (ენკენისთვე—ანვარი) წმიდა-

¹⁾ ჩვენი—Ioannъ Ксифилинь. (Христ. Востокъ. т. I, стр. 344—345).

²⁾ Patrologiae editorum praefatio,—Migne—Patrol. Graeca t. 114, p. 9—18; H. Delehaye—De Symeonis Logothetae menologio (Bibliotheca hagiographica Graeca, გამოც. 2); მისივე—Les menologes Grecs,—(Analecta Bollandiana t. 16, p. 311—329). В. Г. Васильевскій—О жизни и трудахъ Симеона Метафраста (Журн. Мин. Народ. Просв. 1880 г., Декабрь, стр. 379—437); მისივე—Синодальный кодексъ Метафраста, (Жур. Мин. Нар. Просв. 1897 г. июль) და სხვა.

³⁾ ხელნაწ. საეკლ. მუზ. № 90, გვ. 310ა—314в. გელათისა № 5, ფურ. 576в—579; ეს დოკუმენტი ჩვენ რუსულადაც გამოვიკით: Симеонъ Метафрастъ по грузин. источникамъ, Труды Киевской Духов. Академіи, февраль 1910 г.)

⁴⁾ № 1, ფ. 578а—581в; ესეც ჩვენ გამოვეკით: Ioannъ Ксифилинь, продолжатель Симеона Метафраста (Христ. Вост. т. I, вып. 3).

ნების ცხორება-მარტვილობანი და თავისი შრომა 982 წელს დაუწვია; ხოლო „გაზაფხულისა და ზაფხულის“¹⁾ თავთა—იოანე ქსიფილინისის, რომელიც ამ შრომას 1081 წელს შესდგომა. ქართულ ხელნაწერებიდანვე ირვევს, რომ სვიმეონს გადაშტეტაფრანსებისა არა მარტო სექსანტბერ-იანერის წმიდათა ცხორებანი და ენკომიები, არამედ წმ. მამათა მიერ შეთხზულნი ქადაგებანი, რომელნიც, ტიბიკანით, დიდმარხვამი იკითხებანი; ძველი ქართული ტერმინოლოგიით „მეტაფრასი“ დიდმარხვის გადაკეთებულ საკითხავებს უიერო ეწოდება, ვიდრე ცალკე თავთა ცხორება-ენკომიებს. საქართველოს ეკლესიას, რომელიც კვლადკვალ მისდევდა საბერძნეთის ლიტერატურულ ევოლუციას, ეს მსხვილი კულტურული ფაქტი, რასაკვირველია, ვერ გამოეპარებოდა; ის იმთავითვე შესდგომა სვიმეონისა და ქსიფილინისის შტეტაფრანსების თარგმანს.

იერემ მცირე, რომელსაც უტყუარი მსალა დაუტოვებია სვიმეონ ლოლოთეის შესახებ, ზემოდასახელებულ თხუზულებამო რამოდენიმედ იმასაც გვირკვევს, თუ ვინ სთარგმნა ქართულად მისი შტეტაფრანსები. აი მისი სიტყვები: „ხოლო ჩუენ ქართველთა შორის ძველნი იგი მოწამეთანი იუფნეს; რომელნი იგი ვიდრე აქამოდეტა არიან, და კუალად ამის ახლის მოწამეთაჲს-განცა ითარგმნნეს მცირედნი, ვითარ იგი არს წმიდის არტემისი და კრიტელთა და ელევთერისი, რომელნი უთარგმნიან წმიდას მამას ჩუენსა დაგით ტბელს; და წმიდათა გიორგისი და თეოდორესი და სსწაუელი წმიდის თეოდორესი უთარგმნია ღირსსა ნეტარებისსა გიორგის მთაწმიდელსა: ეგრეთვე სანატრელს სტეფანეს სანსოლს ძეს უთარგმნია საკითხავი დაუჯდომელთა და ცხორებამ თეოკტისტე ლეზველისამ და სხუანიცა: ხოლო მოძღუარს მას და ჩუენ უოველთა მამას და მნათობს, წმიდას მამას ეფთუმის, ლოლოთეის შუკაზმულთა-გან კლეპენტოსი ოდენ უთარგმნია და წმიდის პრაკობისი, რამეთუ სხუათა წიგნთა-გან უცალო იყო, რომელთა მიერ ფრიად განადიდა ნათესავი ჩუენი: ამთ წმიდათა მამათა მდღითა და კანდიერად ღმრთისა მიმართ შეთხებითა და ლოცვითა ბერისა ჩემისა საბაჲსითა მეცა საწალობელი და უღირსი სხისამ და სხელისამ ეგრემ მცირე და უნდომ მონაზონი ღირს მუო და არა გარემიმეტია წალობა-ურაცხელმან ღმერთმან მოხებითა მშობელისა მისისამათა და უოველთა წმიდათათა მოსლვად ფერკათ თან ზემოქსენებულის ბერისა სსა თუნარსელისა, სულაჲს ძისათა, რომელმან ქრისტეს-მომსგავსებულთა სხიეცებითა მიტრთა უმის სიუბებისა და სიჭაბუკისა ჩემისსა. და სხუათვე ქველის-მოქმედებთა თანა ესეტა ჩუენს ჩემ ზედა, რომელ ბერძელისაცა წიგნთა კითხვისა

¹⁾ „ზამთარი და ზაფხული“ ტენნიკურდ ტერმინია, ის მიღებული ყოფილა როგორც ლიტურგიკულს მწერლობაში (ჩვენი *Іерусалимскій Канонарь*, стр. 13), ისე ჰაგიოგრაფიულში: მელქისედეკ კათოლიკოზის 1020 წლის ეუჯარში იმ წიგნებთან შორის, რომელიც მას მცხეთის ტაძრისათვის შეუწირავს, მოხსენებულია, „მოწამეთა წიგნი ღირსი: ზამთარი და ზაფხული“ (*А. Напроевъ, Мцхетъ и его соборъ Свѣти-Цховели*, стр. 211.)

სწავლამ იღუაწა ჩემ-თჳს ადგილს შინა ჭეროვნად მომზადებულსა, რომელ არს მონასტერი წმიდის სუმიონ საკრწველთ-მოქმედისაჲ, რომლის მეტხებითა და ფარვითა დედის მისის მართამითა ვისწავუე რაჲმე დაღაცათუ არა შემსგავსებულად ლუწლთა და წარსაკებულთა წმიდის მის ბერისთა, არამედ ფრიად უმეტესი ძალისა და მისწრაფების ჩემის: და მასვე ჟამს ბრძანებითა და წარსაკებულთა მისითა ვთარგმნენ ესე რაოდენნიმე საკითხავნი ლოღოთეუტის მეტათერასთაგან, რომელთა შინა უგუეთუ რაჲმე იხრების ჭეროვანი, ღმრთისაჲ არს მადლი ეგე და წმიდათა ამათ ზემოკსენებულთა მამათა ჩუენთაჲ და უბირატეს მათ ვოველთა ბერის საბაჲსი, რომელი მექმის ვოვლად ვოვლითურთ სიტყვთა და სიქმითა, ლოცვითა და ბრძანებითა და კორციელისა საგმარის ფრიად წარგებითა: ამას ვოველთ: თანა და უბირატეს ვოვლის თანადადგინებითა სათნოჲს მოწაფისა მისისა და მამის ჩემის ეფრემ დიდისა ოშკელისაჲთა, რომელი იგი მეტნიერ იყო კითხვასა და გაცხენასა ბერქელისსა და კეთილად სწავლულ ქართულთა სიტყუთა შეწყობილებასა: და ამათ ორთავე ორკერძო ჭმარებდა და განაკებდა ნაკლულევანებსა ჩემსა და რათა მოკლედ ვთქუა, ვოველივე კეთილი, ღმრთის მიერ და კაცთა მიერ ჩემ ზედა მომავალი, ბერისა საბაჲსი არს, და სასუიდელოცა ღმრთისა მიერ მასვე აქუნდინ, ხოლო ნაკლულევანებისა და უსრულადობისა მიზეზ არავინ არს სსუჲ, თჳნიერ უდირსებაჲ ჩემი და ტურთი ბრალთაჲ და არა სიმდაბლე გრებისაჲ, რომელი უგუეთუმცა იგი ხოლო ოდენ მსქუნდა, კმა იყო აღმავსებულად ვოვლის ნაკლულევანებისა: აწ უგუე ვევედრები სიწმიდესა თქუენსა, რომელნიცა მიემთხზნეთ წმიდასა ამას წიგნსა, ლოცვასა ჭყოფილით ბერისა საბაჲს-თჳს, რომელი იყო მაქმნეველი და მბრძანებელი საქმისაჲ: და მისთანავე ბრალთა შენდობასა უთხოვლით ეფრემს დიდსა, რომელი იყო მმართველი და განმგებელი ნაკლულევანისაჲ. ჭე ვევედრები, სუმცა კუებულ არიან ივინი სასიკებისაგან, რამეთუ ფრიად დამურნეს ივინი წიგნისა ამის-თჳს, რომელიცა მიერ მიეცინ უფალმან, ზოვნად წყალობაჲ დედესა მას განკითხვისასა 56: 4 1)

ამხირად, ეფრემ მცირის მოწმობით, სვიმეონ ლოღოთეუტის მეტათერასებთან ქართულად უთარგმნიათ:

დავით ტბელს (X ს): 1) წამებაჲ წმიდისა და დიდისა მოწამისა არტემისი, 2) წამებაჲ წმიდათა და ვოვლად-ქებულთა ათთა ქრისტეს მოწამეთა, რომელნი კრატეს იწამეს 3), 3) წამებაჲ წმიდისა მღუღელმოწამის ელევიერისი 4).

1) საეკლ. მუხ. ხელნ. № 90, გვ. 312B—314A.

2) ოკტომბ. 20 გელ. ხელ. № 4, ფ. 485A—510B.

3) დეკემბ. 23, საეკლ. მუხ. № 90, გვ. 235—242, გელათ. № 5, ფ. 391B²—395A.

4) დეკემბ. 15, საეკლ. მუხ. № 90, გვ. 135—175, გელ. № 5, ფ. 286B²—295B; წმ უკანასკნელში ეს შეტელობით „თეოფილეს“ აქვს მიწერალი.

სტეფანე სანანოას ძეს (X ს.): 1) საკითხავი დაუკლამელთა¹⁾, 2) ცხორება თეოტისტე ლეზველისა²⁾, 3) აგრეთვე, როგორც ერთ მისაწერიან სწასს, — „წმიდათა შორის მამის ჩუენის გრიგოლ ნოსელისა შესხმა წმიდის სტეფანე პირველმოწამისა.³⁾

ექვთიმე მთაწმიდელს: 1) წამება წმიდის მოწამისა პროკლასი⁴⁾, 2) წამება წმიდის კლემენტოს, ჰრომთა პაპისა⁵⁾.

გორგი მთაწმიდელს: 1) წამება დიდის მოწამის თეოდორე ტვრონისა და სსწაუღნი მისი⁶⁾, 2) წამება წმიდის და დიდის მოწამის გეორგისი⁷⁾. გელათის ხელნაწერთა მისაწერებით გიორგის უთარგმნია კიდეც³⁾ „უწვებათა-გან პირველთა დიდთა გამოწვდილითა შეკრებილი ნეტარისა-გან ითანე ხუტის და მონაზონის დამსკეღის სიტყუა ფოფალაქებულის შობისა-თეს ოღის ჩუენისა ოჯ ქრისტესისა“⁸⁾, და 4) წმიდის მამის ჩუენის გრიგოლი ნოსელისა შესხმა წმიდის და დიდებულის მოწამის თეოდორესი⁹⁾.

ეფრემ მცირეს უთარმნია „რაღენიმე საკითხავნი ლოღოთეტის მეტაფრასთა-გან“, მგრამ რამდენი და რომელი, აღნიშნული არაა; ამის გამორკვევაში ჩვენ გვშეგლის თვით ეფრემი, რომელსაც ერთი კარგი ჩუეულება ჰქონია: მის მიერ კადმოთარგმნილ თხუზულებათა და, კერძოდ, ცხორება-საკითხავთა პირდაპირ, ხელნაწერთა არამიაზე, ის თავის სსხედს აწერდა ხოლმე [„ეფრემ“, „ეფრემ თარგმან“], ასე რომ ჩვენ შეიძლება გვაქს სხვა და სხვა ხელნაწერთა სსხელებით აღწერსოთ ეფრემის მიერ ნათარგმნი მეტაფრასებო:

1) ცხორება და მოქალაქობა ზელავია დირსის ანტიოქელისა¹⁰⁾, 2) წამება წმიდის დიდებულის ქრისტეს მოწამის დიმიტრისი¹¹⁾, 3) წამება წმიდათა და დიდთა მოწამეთა ქრისტესთა იერანისი და სსუთა მისთანა, რო-

1) დიდმარხვის მეხუთე კვირიკის შაბათს, გელათ. № 8, ფ. 140B—147. М. Джанашвили — Къ матеріаламъ по исторіи и древностямъ Грузіи и Россіи, стр. 107—145, Тифл. 1912 г.

2) ნომბ. 10, წ.-კითხ. მუხ. № 384, გვ. 597—612.

3) გელ. № 6, ფ. 503B—514A.

4) ივლის 8, გელათ. № 3, ფ. 395a—420a, ბოლღიან. წიგნსაც. ფ. 217—241, P. Peeters—De codice Hiberico Bibliothecae Bodleianae Oxoniensis, (Analecta Bollandiana, t. XXXI, p. 310).

5) ნომბ. 25, საეკლ. მუხ. № 70, ფ. 83—94, ივერიის მონას. № 50, გვ. 250a—261a, Н. Марр—Агиографическіе матеріалы... I, 7.

6) ფებერ. 17 და დიდმარხვის I შაბათი, გელათ. № 1, ფ. 59A—64B, საეკლ. მუხ. № 140, ფ. 83—92.

7) აპრ. 23, გელ. № 7, ფ. 320B—340A.

8) გელ. № 5, ფ. 457a—466a.

9) დიდმარხვის პირველ შაბათს, გელ. № 8, ფ. 40B—45A.

10) ოკტომბ. 8, გელათ. № 4, ფ. 409A—414B, წ.-კითხ. მუხ. № 384, გვ. 167.

11) ოკტომბ. 26, გელ. № 4, გვ. 593B—602B, წ.-კითხ. № 384, გვ. 244.

მელნი იწამსნეს მეღეტინეს სამხითისსა 1), 4) წამება წმიდისა და დიდებულის ქრისტეს მოწამის მინა მეგვტელისა, რომელი იწამა ქალაქს კოტჯაოს 2), 5) ცხორება წმიდისა იოანე ოქრობირისა 3), 6) საკითხვი ბქემული წმიდისა და ნეტარისა მამის ჩუენისა იოანე ოქრობირისა: შესხმა წმიდისა და დიდებულის მოწამის რომანოზისი 4), 7) ცხორება და მოქალაქობა წმიდის მამის ჩუენისა გრიგოლი ნეოკესრიელ ეპისკოპოსისა სკვრველთ-მოქმედისა, რომელი აღწერა წმიდამან გრიგოლი ნოსელმან 5), 8) სიტყუა ეოვლად-წმიდისა ღმრთის-მშობელისა-თჳს გიორგი წიგნის-მცველისა 6), 9) ცხორება წმიდისა და ნეტარისა მამის ჩუენისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამსკელისა 7), 10) იოანე კონსტანტინეზოლელ მთავარეპისკოპოსისა მიერ შესხმა წმიდისა სტეფანე ზირველმოწამისა 8), 11) თქემული სოფრონ იერუსალიმელ ჰეტრარქისა სიტყუა მიგებებისა-თჳს ოღისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იჳ ქრისტესი 9), 12) შორელ-მოსღვისა-თჳს ოღისა ჩუენისა იჳ ქრისტესსა და რათა ვზრუნვიდეთ სარგებელისა-თჳს სულთა ჩუენთაჲსა¹⁰⁾, 13) „შესუენებულთა-თჳს“ ანსტასი სინელისა¹¹⁾, 14) „შესუენებულთა-თჳს“ იოანე დამსკელისა, ¹²⁾ 15) „მარხვათა-თჳს“ ბასილი დიდისა ¹³⁾, 16) ზირველსა კვრიაკესა წმიდათა მარხვათასა: წმიდისა და ნეტარისა მამის ჩუენისა გერმანოს კონსტანტინეზოლელ მთავარეპისკოპოსისა, სიტყუა ჟუარისა-თჳს და წმიდათა ხატთა კელთ-ქმნულთა და კელთ-უქმნელთა-თჳს, მწვალებულთა მთ მიმართ, რომელნი ჟუარს ხოლო თაჳუნის ცუმენ და ხატს არა¹⁴⁾; 17) ზირველსა კვრიაკესა წმიდათა მარხვათასა: თხრობა სსწაულისა მის, რომელი აღესრულა ბეფრიტას ხატის მიერ ოღისა ჩუენისა იჳ ქრისტესსა და სიტყუა სწაულისა მარხვისა-თჳს და მოწალებისა¹⁵⁾; 18) თხრობა დიდებულისა სსწაულისა, რომელი იქმნა წმიდასა მსწება ჟურღმულსა დიდისა კელე-

1) ნოემბ. 7, წ.-კით. № 384, გვ. 590—597.

2) ნოემბ. 10, წ.-კ. № 384, გვ. 635—643.

3) ნოემბ. 13, წ.-კ. № 384, გვ. 1—61, აქ ამას თავი აკლია და 14 სვეტმბერს იკითხება.

4) წ.-კით. № 384, გვ. 649—659.

5) წ.-კით. № 384, გვ. 682—721.

6) წ.-კით. № 384, გვ. 750—763, საეკლ. მუხ. № 128.

7) დეკემბ. 14, გამოცემულია ჩვენ მიერ—Грузинская версия арабскаго житія св. Иоанна Дамаскина, Христ. Вост. т. III, вып. II.

8) გელათ. № 5, ფ. 514B—516A.

9) გელათ. № 1, ფ. 1A—13B, საეკლ. მუხ. № 129.

10) გელ. № 8, ფ. 965a, საეკლ. მუხ. №№ 162, 272.

11) საეკლ. მუხ. № 129, ფ. 132—137.

12) საეკლ. მუხ. №№ 129, 162, 680.

13) საეკლ. მუხ. № 129, ფ. 161—171, № 272.

14) გელათ. № 8, ფ. 45B—51B, საეკლ. მუხ. № 162, ფ. 134—143.

15) გელ. № 8, ფურ. 51B—59A; საეკლ. მუხ. №№ 162, 276.

სიისას სოფიწმიდან საუფლდომს-გან და ჰატიოსნის ხატის ოღის და ღმრ-
თის და მაცხოვრის ჩუენის ოჯ ქრისტეს და მუნ მოსრულის მის-თჳს ჰატრი-
კის და ქრისტეს-მოყუარის შწიგნობრის მისისა¹⁾; 19) თხრობად სულთა-
სარგებელი სსწაულის მის-თჳს, რომელი იქმნა ხალხუკატას ხატის ქრისტე-
სისა, რომლისა მიზეზის-თჳს ეწოდა მას თავმდებ, და თოდორეს-თჳს შენ-
ვისა და აბრაჰამ ჭურისა²⁾; 20) ღირსის მამის ჩუენის იოანე მონახონის
და ხუცის დამსკელისა ღმრთივმოცემულისა მიერ მისდა მადლისა ოქრომნიკტარ
წოდებულისა სიტყუა სიტყუს-საკებელი მათა, რომელინი ჭკობენ წმიდათა
სატა³⁾; 21) ეპისტოლეთა-გან წმიდათა შორის მამის ჩუენის იოანე ოქრო-
პირის, ექსორიობით მოწერილი ოღუშნაჲს მიმართ დედათ-დაიკონისა⁴⁾;
22) იოანე მთაწარეპისკოპოსის თესლონიკელისა სიტყუა განჯაცების-თჳს
ოღის ჩუენის ოჯ ქრისტეს და ხარების-თჳს ყოვლადწმიდისა ღთის-მშო-
ბელისა⁵⁾; 23) წმიდისა და ნუტარის მამის ჩუენის ანდრია იერუსალიმელის,
კრიტელ მთაწარეპისკოპოსისა, სიტყუა ბზობის-თჳს და იერუსალიმად შესლ-
ვისა-თჳს ოღის ჩუენის ოჯ ქრისტეს⁶⁾; 24) იოანე მდაბლის მონახო-
ნისა და ხუცის დამსკელისა სიტყუა ლეღუს-თჳს განემელისა და იკავის
მის-თჳს ვერაქისა, აღმთქემული დიდს ორშაბათს⁷⁾; 25) „სიტყუა ამა-
დლების-თჳს ოღის ჩუენის“ იოანე ოქროპირისა⁸⁾; 26) წმიდათა შორის
მამის ჩუენის სოფრომ იერუსალიმელ ჰატრიარქის სიტყუა ზეცად ამაღლე-
ბისა-თჳს ოღის ღთისა და მცხოვრის ჩუენის ოჯ ქრისტეს; ითქუა ესე
ადგილს თხემისას შიშის-თჳს უღმრთოთა სარკინობთაჲს, სდა იგი აღსრუ-
ლებდენ დღესსწაულს ამაღლებისას⁹⁾.

თეოფილე ხუცეპირიზანი. ვინ იყო ეს თეოფილე, დანამდვილებით
არ ვიცით; თხუხულებასი, რომელსაც „მცირე შწეება ქართველთა მწერალთა-თჳს“
ეწოდება, ვკითხულობთ: „ესე მამ თეოფილე იყო ქართველი. და თანამედროე
იქელთა მამთა ქართველთა არსენისა, ეფრემისა და იოანე ფილოსოფოსისა, სიბრძნის-
მოყუარებას შინ სრული და ღთის-მეტყუელი, საღმრთოთა წერილთა შინ გამოც-
დილი და მთარგმნელი ბერძელისა-გან ქართულსა ზედა, რომელ ესეცა დაჰურს
სემოკსენებულთა მთარგმნელთა თანა“¹⁰⁾. აქ დასახლებულნი ზირნი რომ შერთლ

1) გელ. № 8, ფურ. 59ა—64ა, საეკლ. მუხ. №№ 129, 162, 272.

2) გელ. № 8, ფურ. 64ა—75ა, საეკლ. მუხ. №№ 162, 276.

3) გელ. № 8, ფურ. 90B—108B.

4) გელ. № 8, ფურ. 133B—140B (6—10, 13 ეპისტოლენი).

5) გელ. № 8, ფურ. 149—151B.

6) გელ. № 8, ფურ. 202ა—214, საეკლ. მუხ. № 162.

7) გელ. № 8, ფურ. 219B—224B, საეკლ. მუხ. № 129.

8) გელ. № 8, ფურ. 330—336, საეკლ. მუხ. № 129.

9) გელ. № 8, ფურ. 336B—369A, საეკლ. მუხ. № 129.

10) ძველი საქართველო, ტომი I, განყოფ. 3, გვ. 15.

თანამედროვენი იყვნენ, ესა სხანს „ქართლის ცხოვრების“ ერთ მინაწერადან, სადაც ნათქვამია: „ამის ჟამთა შევიდენ მთარგმნელნი წიგნთანი ეგრემ მცირე და თოფილე და ასრენ იუფლოთელი და იოანე ტარიჭისძე“¹⁾; მასმსადაჲ, თოფილე უთოფილას მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარის მოდგაწი; მას სვიმონს მეტაფრასიდან უთარგმნია: 1) სეკლემბრის თვის წმიდათა ცხოვრებანი. ამას ამოწმებს ივერიის მონასტრის მეთერთმეტე საუკუნის მეტაფრასტი, რომელსაც შემდეგი მინაწერი აქვს: „ითარგმნა უკუე წიგნი ესე მეტაფრასტი ქალაქის მინა საშუუფოს კოსტანტინებოლსა, მონასტერსა შინა უღმუჲნიერსა ტრანსფელეთს დედისა ღმერთისასა, უღირსისა მიერ თოფილეჲსა ხუტესმოწაზონისა, მათვე კელითა მიერ განუსხა, დასაბამითჲს წელთა ექუსი ათას სუთას ოთხმოცდა მეცხრესა, ინდიკტიონსა ოთხსა ბერძულად, მეფობასა აღმოსავლეთს გიორგი კესაროსისა, ბაგრატის ძისა, რომლისა ბრძანებითა ვიწვე თარგმნად წიგნთა ელდინურისაგან ქართულად, ხოლო საბერძნეთს დედოფლობასა მართაჲ[ს]სა, მისივე გიორგის დისსა, და მეფობასა ნიკიფორე ბოტონიტისა და ალექსი კომნინისათა, მას ჟამს, ოდეს ბაგრატის ასული მარამ დედოფალი აღმოსავლეთით კოსტანტინებოლეს შემოვიდა“²⁾ როგორცა სხანს, სეკლემბრის მეტაფრასტი თოფილეს 1081 წელს უთარგმნია; ამ წიგნის ორი ცალი ჩვენში: ერთი გელათის მონასტერში (№ 4), მეორე წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმში (№ 384); პირველი შეიცავს 36 ცხოვრება-ეპიკონის, მეორე—24. როგორც ხელნაწერების მინაწერთაგან სხანს, თოფილეს უთარგმნია დეკემბრის თვის და დიდმარხვის რამდენიმე ცხოვრება-საკითხავები, სახელდობრ: 2) წმიდისა მამისა ჩუენისა ამბროსისათჲს, მედიოლანელ

¹⁾ თ. ჟორდანი — ქრონიკები I, 225.

²⁾ Проф. А. Цагарели—Свѣдѣнія о памятникахъ груз. письменности, вып. I, стр. 79—80; თ. ჟორდანი — ქრონიკები I, 228—229; Л. Меликсетъ-Бековъ—Грузинская версия Агаѳангелія и ея значеніе для грузинской исторіографіи (Христ. Вост. т. IV, вып. 2, стр. 167). მ. საბინინის სიტყვით, ამ თოფილემ ითარგმნა ქართულად. დავით აღმაშენებლის ბრძანებით და სურვილით, ილარიონს ქართველის ცხოვრება (საქართველოს სამოთხე, გვ. 371, შენ. I; შეად. P. Peeters—S. Hilarion d' Iberie, Analecta Ballandiana, tom. XXXII, p. 237—238). ეს უბრალო გაუგებრობაა: ილარიონის ცხოვრება ჩვენ გვხვდება დავით აღმაშენებელზე უფრო ადრე, 1074 წლის ვადაწერილს ხელნაწერში (საქ. მუხ. № 558). ამ ხელნაწერის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ილარიონის ცხოვრება თოფილეს არ უთარგმნია, ვინაიდან ბერძნულიდან ქართულად თარგმნა მან დაიწყო ვიორგი მეფის ბრძანებით, ესე იგი არა უადრეს 1073 წლისა. ჩუენის აზრით, ეს ცხოვრება გადმოთარგმნილია არა უგვიანად მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევრისა, როდესაც „უღირსს ზოსიმეს“ წმ. ექვთიმე ათონელის საგალობლებთან ერთად წმ. ილარიონის საგალობლებიც შეუთხზავს (ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაპები, გვ. 186, 208), შესაძლოა თვით ზოსიმეს ეთარგმნოს ის.

ეუისკოფოსისა; 3) ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა მამისა ჩუენისა ზატაპისი¹⁾ 4) სკაითხავი თქუმილი წმიდისა და ნეტრისა მამისა ჩუენისა ებათხანე კვზრულ მთავრ-
ეპისკოპოზისა მუცლად-ღებისა-თჳს ანხამს, რაჲჲმს ესარა შობად წმიდისა ღთისამშო-
ბელისა²⁾ 5) დუაწლი წმიდისა და დიდებულისა დიდისა ქრისტეს მოწამისა ვანი-
ფანტე ჰრომისა³⁾; 6) თქუმილი ანსტასი მონაზონისა სინელიასა შემოსლვისა-
თჳს მარხვათას და შეექუსისა-თჳს ფისლმუნისა⁴⁾; 7) „სკაითხავი თქუმილი ბო-
ბისა-თჳს“ ითანე ოქროზარისა⁵⁾; 8) „სკაითხავი თქუმილი დიდსა ხუთშაბათსა
და იუდას მიერ განტემისა-თჳს და ვნებათა-თჳს ოღისა“ ითანე ოქროზარისა⁶⁾; 9)
სიტუჲჲ ვნებისა-თჳს ოღისა ჩუენისა და ვითარმედ დღესა, რომელსა
განეულნას ადამ სამოთხით, მასვე დღესა შეეიდა სამოთხედ ავაზაკი“ ითანე
ოქროზარისა⁷⁾; 10) წმიდათა შორის მამისა ჩუენისა კარიელ ალექსანდრიელ
მთავრეპისკოპოზისა სკაითხავი თქუმილი ყოვლად-წმიდისა ღთისმშობლისა-თჳს
და წმიდათა მამათა-თჳს ეფესოჲს კრებისა, რომელნი შეკრბეს დაშკობისა-თჳს ჴი-
ჴუელაჲს ნისტორისაჲს, ხოლო აკითხუების ესე დღესა კარიაკესა ზირველ სუ-
ლის-წმიდის მოსლვისა⁸⁾; 11) აღსარებად მართლისა და უბიწოჲსა ქრისტე-
ანთა საწმუნობისაჲ. აღწერილი თეოდორიტეს მიერ კვრულ ეპისკოპოზისაჲ⁹⁾).

არსენი. მეთერთმეტე საუკუნეში რამდენიმე არსენი მოღვაწეობდა სამ-
წერლობო ასაზრუზზე; მეტაფრასტის მთარგმნელი უნდა იყოს ის არსენი,
რომელიც ამ საუკუნის დამლევეს ცხოვრობდა ეფრემ მცირესთან ერთად; ეს გი
არსენი იუდათოელაა, რომელიც ზემომოყვანილ ქართლის ცხოვრების
მინაწერში მოხსენებულია მეტაფრასტის მთარგმნელთა რიცხვში: ეფრემ
მცირე და თეოფილესან. გურია, სამონა და აბოთჲს ცხოვრების ბოლოს
ეფრემ მცირე მოხსენებულია, ვითარცა „უფროჲსაჲ მოადუარი“ ამ ცხოვრების
მთარგმნელის არსენისა; ამას ეთანხმება ის მინაწერიც, რომელიც ეფრემ მც-
რის „კეთილმოღუაწეთა და განმძღვერებულთა, ამასთანა მზრდელთაცა და მსა-
ხურთა“ შორის არსენ იუდათოელსაც აღნიშნავს.¹⁰⁾ ამ არსენს უთარგმნია:

¹⁾ დეკმ. 8, გელ. № 5, ფურ. 118a—123a; ცხოვრების ბოლოს მიწერილია:
„შეისწავეთ, რამეთუ სიკაბუტესაჲა მეთარგმნა და მარიამს დედოფლს ჰქონდა, ხოლო
აწ სიბერესაჲა ვიძულე თარგმნად; ლოცვა ყავთ თეოდოლეს-თჳს“.

²⁾ დეკ. 9, გელ. № 5, ფურ. 123a—130a

³⁾ დეკ. 19, გელ. № 5, ფურ. 327^b—336^a.

⁴⁾ გელ. № 8, ფ. 29^a—40^a; საეკლ. მუზ. № 129, ფ. 152—161.

⁵⁾ გელ. № 8, ფ. 214—219; საეკლ. მუზ. № 129, ფ. 212—217; № 272;
ფ. 125—134.

⁶⁾ გელ. № 8, ფ. 224^a—233^a; საეკლ. მუზ. № 129, ფ. 202.

⁷⁾ გელ. № 8, ფ. 245—248; საეკლ. მუზ. № 129, ფ. 225; № 272, ფ. 157.

⁸⁾ გელ. № 8, ფ. 369^a—376^a.

⁹⁾ გელ. № 8, ფურ. 376^a—385^a; საეკლ. მუზ. № 66, ფ. 496—502;
№ 140, ფ. 496—507.

¹⁰⁾ თ. ყო რ დ ა ნ ი ა — ქრონიკები I, 219.

1) ცხორება და მოქალაქობა და ღუაწლი წმიდისა ღირსმოწამისა ქრისტესა ეგ-
გენიასის, და მშობელთა მისთა; 1) 2) წამება წმიდათა სამთა აღმსარებელთა გუ-
რის, სპინსა და აბობოლისა და თხრობა სსწყაულისა მათ მიერ აღსრულებულისა
ეგვემიასს ზედა ქალისა²⁾; 3) იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა სიტ-
უება დიდისა შაბათისა-თჳს.³⁾

იოანე პეტრიწი. სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრასები თითქოს იოანე
პეტრიწისგ უნდა ეთარგმნოს. სპექლესიო მუხუგუმის ხელნაწერში № 878, რომე-
ლიც მხედრული ხელთაა გადაწერილი 1800 წელს და წმიდათა ცხორებას შეი-
ცავს,⁴⁾ 90—107 ფურც. მოთავსებულია „ნოემბერსა 44: წამება წმიდისა
დიდისა მოწამისა მერკურისა,“ ხოლო მის შემდეგ, 108—126 ფურცლებზე,
„დეკემბერსა 6: წამება წმიდისა მოწამისა ვარვარისა.“ მერკურის წამების შემ-
დეგ, 107B ფურც., ტექსტისავე ხელთ სინგურით სწევრთ: „ესე მერკურისა
წამება და ვარვარისა სპეტრიწის თქუმილია, ამისთჳს ორივე ერთად დავსწერე,
თემდა წრფელთათჳს ძნელასმენელად სჩანს, განა სიტყუათა მქოსურნეთა-
თჳს დიდად ტუბილია და მეცნიერთა-გან დიდად სსურველი ენამზებთა პეტრი-
წისა.“ წმ. მერკურისა წამება მართლაც სვიმეონ მეტაფრასტის რედაქციითა მო-
ეწინილი⁵⁾, ხოლო, რაც შეეხება წმ. ბარბარას წამებას, თავში ის არ უდგება
არც სვიმეონისა და არც სხვა, ბერძნულ-ლათინურ-ასურულ, რედაქციას, მხოლოდ
მერე ნაწილი ემჩნევა კავშირი სვიმეონის მეტაფრასთან.⁶⁾ „ძნელასმენლობას“
და „ენამზებობას“ რომ არ მივაქციოთ უურადდება, თვით ბერძნული ფორმა „ვარ-
ვარა“ ერთი მჩვენებელთაგანია იოანე პეტრიწის სამწერლო ნორმებისა.

აი ჭკრჭკრობით ის ჰიწისი, რომელთაც სვიმეონ ლოლოთეტის მეტაფრას-
ები უთარგმნიათ; როგორც სჩანს, ანტონისური და სისტემატიური მუშაობა
ამ მხრივ თეთრთმეტე სუაგუნის უკანასკნელ მეოთხედში, ეგრემ მცირისა და
თეოფილეს დროს, დაწყებულა. ჩვენ აღვხუხებთ ამ ჰიწითა ხათარგმნი მეტაფრას-
ები, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩამოთვლილთ ჯარდა ამთ სხვა
არა უთარგმნიათ რა; თვით ეგრემი ამბობს, რომ სტეფანე სანანოეს ძეს, მკვა-

¹⁾ დეკ. 24, გელ. № 5, ფ. 395a — 412a, № 6, ფ. 2a — 8a.

²⁾ დეკ 15, წ-კითხ. მუხ № 384, გვ. 658—679.

³⁾ გელ. № 8, ფურ. 248a. — 263a.

⁴⁾ М. Джанашивили — Описание рукописей церковного музея, Кн. III, стр. 127—129.

⁵⁾ H. Dehaye — Les legendes grecques des saints militaires, p. 243—256, Paris, 1909. ეს „წამება“, საეკლ. მუხ. № 128 ხელნაწერშია, მა-
გრამ არა 25 ნომბერს, არამედ 22.

⁶⁾ ეს „წამება“, რომელიც იკითხება აგრეთვე საეკლ. მუხ. № № 128, 339, გარჩეულია, სხვა რედაქციებთან შედარებით, ი. იაკოვ შვეიც თხუზულებაში: „Житие Св. Великомученицы Варвары“ стр. 49—56, Киевъ 1916 г. სვიმეონის რედაქცია წმ. ბარბარას წამებისა (Migne-Patologia graeca t. CXVI, p. 301—316) მოთავსებულია გელათის ხელნაწერში № 5, ფურ. 6a — 11a.

ლითად, გარდა „დაუჯდომელოა“ სკაიიხაფისა და თეოკტისტე ლეხველის ცხოვრებისა, „სსუანიცა“ უთარგმნია; მაგრამ ამ „სსუათა“ შესახებ არც მინაწერება გვეუბნებიან რასმეს, არც ცნობებია შესახული.

სვიმეონ ლოლოთეტუმ თავისი შრომა, როგორც ვთქვით, ანგრის თვით გაათავა; მეცნიერებამ მეტათრასტულ მწერლობის შესახებ მეტი არა იცოდა რა. ამ რამდენიმე წლის წინად ჩვენ გამოვაჩვენეთ ერთი ქართული დოკუმენტი, რომელიც კვამტნებს, რომ დანარჩენი შვიდი თვე (თებერვალი-აგვისტო) გადაუმეტათრასტის იოანე ქსიფილიანოსს, რომელიც თავის შრომას 1081 წელს შესდგომა¹⁾. ამ ქსიფილიანოსის მეტათრასტა კრებული, კათოლიკოს ევდემონ ჩიტედიის (1543—1578) ინიციატივით გადაწერილი, სამ უზარმაზარ ტომად დღეს გელათის მონასტერში ინახება. ეს ცნობა სრულიად ანაბეუელი აღმოჩნდა ბიზანტიის მწერლობის ისტორიაში, ამიტომ მან ერთგვარი სენსაცა გამოიწვია დანიტრესეიულ წრეებში. ზირველად მას რუსის მეცნიერი, აკადემიკოსი ვ. ვ. ლატოშევი გამოეხმურა;²⁾ მას გამოცემული აქვს ორი სწავლად უსახელო ავტორის ბერძნული მეტათრასტული ტექსტები თებერვალი-აგვისტოს თვეებისა.³⁾ გაეცნო თუ არა ის ჩვენს მიერ გამოჩვენებულ დოკუმენტს, იმწამსვე დასკვნა, რომ იოანე ქსიფილიანოსი მის მიერ გამოცემულ ტექსტების ავტორია, რომელსაც იგი დიდი ხანია დაცემდა. ჩვენს ამთავად არ გვიანტრესებს, რამდენად შესაბამება სიმართლეს ლატოშევის ამტვარი დასკვნა, ის კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ-ბერძნულ კრებულთა შორის თუ გვეტოური კავშირი არაა, შორეული ნათესაობა უკველად უნდა იყოს. ლატოშევის კრებულში მოთავსებულ ტექსტებს ბოლოს დართული აქვს „ვედრება შეფის-თას“ (ის სამეფო კარის ეკლესიაში იკითხებოდა და ამიტომ ჭკობლოვანში ცნობილია როგორც „სამეფო“ თთუენი); ქართულს კრებულში ეს ვედრება ან გამოშვებულია, ან შეცვლილ-გადაკეთებული, სიმბეგერთად, ზოგერთა ტექსტების ამა თუ იმ სიტყვაში რამდენიმე სხვა წითელი მკლნით, სინკურთიაა, დაწერილი, ასე რამ ეს წითური ასოები იძლევა ფრანსას: „დიმიტრის დავითანსა“ ან „დიმიტრი დავითანსა“⁴⁾. სსამეფოდ მოკუიყვნით ერთს ასეთს ადგილს, რომლითაც თავდება თეოდორე სტრატელატის ცხოვრება:

¹⁾ Иоаннь Ксифилииъ.. (Христiан. Востокъ, т. I, вып. 3.)

²⁾ Четьи-Минеи Иоанна Ксифилииъ (Извѣст Акад. Наукъ, 1913 г. стр. 231—240); Житiе святыхъ епископовъ херсонскихъ въ грузинской Минеѣ (Извѣстiя Археологической Комиссiи, вып. 49, 1913 г. стр. 75—83); „Византийская Царская Минея (Записки Академии наукъ по истор.-филолог. отд. т. XII, № 7), стр. 80—87, 100—117, Петроградъ 1915 г.

³⁾ Menologii anonymi byzantini saeculi X quae supersunt, 1911—1912 an.

⁴⁾ გელათის ხელნაწ. № 7, ფურ. 294ა, 320ა, 360ა, 364ა. 389в.

„მა შენ ცათა შინა ქრისტეს ღვთის ჩუენის წინაშე წარმადგობა ღლი მოიკრუნებდ მეფეს ჩუენს, დიდისა სსსოებისა შენდა მომტკებელსა, და მოჭმადლე მას ღვთის მიმართ სვედრებელთა ოხათა შენთა მიერ აქა შინა ვიდრემე გრძელი და ბედნიერი ცხოვრებამ მკეხთად ძლიერმოფელმან მკლავსხა მისისამან გელთამგებულად უცხოტომთა მტერთა განწყობილებისა, ხოლო მანდა მარჯუენით მეფუისა დადგომამ ძედ ღვთისა და ხთლისა დაუწყუხრებელისა მეფელმან მისამან და ბრწინისალებლისა და დიდებისა ღვთისა ზიარდა აღსუსკედ მსდლითა და მხიარულებითა და ყოველთა მართალთა თამხმონხრულად, რამეთუ ქრისტესხა დმერთს ჩუენს შეგნის დიდებამ... ამინ.“ 1) ხეტურო ასოები (რომელიც დედნში წითურად დაწერილს უდრის) რომ შეგვერთოთ, გამოვა „ღმიტრის დავითისას;“ აქ ვუდრებაც არის მეფისთვის და თვით მეფის სხელიც. ამ დეტალს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩუენთვის: ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასები ქართულად უთარგმნათ მეფე დიმიტრი ზირველის (1125—1154) სიცოცხლეში (აქა შინა ვიდრემე გრძელი და ბედნიერი ცხოვრებამ...), დასლოვებით არა უგვიანეს ჩხუენისა ხელინის დედნის გამოქვეყნების შემდეგ. კრებული ხთარგმნია გელათის მონასტრში; აქ დარჩენილს თებურელის, მარტის, იფისის, ივლისის და ავგუსტოს თვეთა ტექსტებში, რომელიც მეტექსტზე სუკუნეში გადაწერილია კათოლიკოზ ევდემონ ჩხეტიძეს; მისის თვე დაკარგულა, ხოლო რაც შეეხება აზრის, ევდემონის კრებულიდან ისიც დაკარგულა, სამაგიეროდ შენახულა იქვე ტუაგზე ნაწერი XII—XIII საუკუნის ნუსხა, რომლიდანაც ევდემონის კრებული გადაწერილია. გარდა გელათისა, ეს კრებული არც მთელად, არც ნაწილობრივ, არსად არ მოიპოვება, თუ მხედველობაში არ მივდივით იფისის თვის ნაკლეჯს, რომელიც წინაღ სამეგრელოს თავადს ეკუთვნოდა და დღეს „წერაკითხვის საზოგადოების“ მუხეუმშია შენახული (№ 471); სხანს, სადაც უთარგმნათ იგი, იქვე რამდენჯერმე გადაწერილია, სხვაგან კი მანცა და მანც ვერ გავრცელებით.

ვინ სთარგმნა ქართულად იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასები? თუმცა ზირველი ცნობა ამის შესახებ არ დარჩენილა, მაგრამ ჩვენ ვუთქვამთ, რომ ეს მეტაფრასები უთარგმნია ცნობილ ფილოსოფოსს, იოანე ზეტროწს. აი ამის საბუთები: 1) როგორც დავისხეთ, მთარგმელი უოფილა დიმიტრი მეფის დანამდებრე და გელათის მონასტრის მოღვაწე. თუმცა დანამდვილებით არ ვიცით, როდის გარდაიცვალა იოანე ზეტროწი, მაგრამ იმისი თქმა კი შეგვიძლია, რომ ის დიმიტრის მეფობას არამც თუ მოესწრო, ამ მეფობით ტებებულა კიდევაც. მართამ დელოფლის „ქართლის ცხოვრების“ ვარნანტში ხთქვამთ: „დიდებითა, სიმენითა და გუართა ცხოვრებისათა აღმთხენს იოვანე ფილასოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმამითხრობამ დიმიტრის მკუნეს კლამათა შინა და მძელსა ბრძოლასა შინა“ 2).

1) წ. კითხვის მუხეუმის ხელნაწ. № 471 თ. ეორდანია ქრონიკები, I, 250.

2) ექვთ. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 364, 4—6.

თუ იოანემ სოტბაც კი უძღვნა დიმიტრის „კლამათა შინა“ მსხეობას და „ბრძოლას შინა“ მძლეობას, ცხადია, იმას კარგა ხანს უნდა ეტოვებოდა დიმიტრის მეფობაში, ასე რომ ქსიფილინოსის მეტაფორასების გადმოღებასაც მოასწრებდა; ურადსაღებია, რომ ზემომოთყვანის „კვადრებაშიც“ ის მოტივია საზგასმულო, რაც „შესხმა-მითხრობაში.“ 2) სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იოანე ზეტროწი გელათში დამკვიდრდა, სადაც მან რამდენიმე თხუზულება სთარგმნა. 1) 3) იოანე სთარგმნიდა არა მარტო ფილოსოფიურ თხუზულებას, არამედ არა-ფილოსოფიურსაც, თუ ის ფილოსოფოსს და გამოსწავლილ მწერალს ეჭუთვნოდა. მაშასადამე, გასაკვირველი არ არის, თუ მან ქსიფილინოსის მეტაფორასებიც სთარგმნა, ვინაიდან უკანასკნელი ჩვენს მიერ გამოცემულ დოკუმენტში მოხსენიებულია, როგორც „ხალატისა მწიგნობართა უადრესი. უთვლად-ბრძენი ფილოსოფოსი.“ 2) 4) სკავირველი არ არის ეს მით უმეტეს, რომ იოანეს ჭეგოგრაფიისადმი განსაკუდრებული მიდრეკილება ჰქონდა; ამას ამტკიცებს მის მიერ გამოქვეყნებული სუთი თვის (სეკულუმერ—იანუარი) წმიდათა იამბიკანი, 3) ზემოაღნიშნული მისი მოღვაწეობა სვიმეონ ლოდოტრის მეტაფორასების გამოღების საქმეში დაკრთვეს. მცირე უწყება ქართულთა მწერალთათვის, სადაც ზირდაზირა ნათქვამია, რომ იოანემ „მრავალნი წმიდათა ცხოვრებასი“ გარდამოადო“ 4). 5) მტკიცე და მნიშვნელოვანი საბუთს ვეძიებთ ის სქოლიები, რომელიც ევდემოსის კრებულში სწორად გვხვდება მეტაფორასების არსებზე და რომელიც უთუოდ ზეტროწის უნდა ეკუთვნოდეს. ეს სქოლიებია: 5) საგრაძმამტკიცო სასიათისა. იოანე ზეტროწის რომ საგრაძმამტკიცო სასიათის შრომა აინტერესებდა და იზიდავდა, ამას ის ღვაწლიც ადასტურებს, რომელიც მან დასდო ქართულ საგრაძმამტკიცო თრომების შექმნას და ბერძნულ ნორმებთან შეკრებას; ამიტომაც ის საფუძვლიანადაც ცნობილი ჩვენ მწერლობის ისტორიაში (ანტონ კათოლიკოსი, ბრძოლა. შეგრენი) როგორც გრაძმამტკიცო. 6) მართლაც, წმ. თეოდორის ცხოვრების არსებზე ჩვენ ვკითხულობთ: „შეისწავე, ვითარმედ ბერძნულნი სიტყუანი უოველნი ანუ დედანნი არიან, ანუ მამანი, ანუ არარამელნი. სახელთა მწოდებელნი, და აქნა დედათა ეკრატისთა დედლათა სიტყუთა დედლად სახელსდებს მონაზონთაო, სოლო მამათა

1) ს. გორგაძე—ნემესიოს ემესელი: ბუნებისათვის კაცისა, გვ. XIV—XV, ტფილისი 1914.

2) Иоаннъ Кефлинъ... (Христ. Вост. гв. I, вып. 3, стр. 341, 4—6).

3) Н. Марръ—Двѣянія Спевска. Еласина и Меласина (Зап. Восточн. отдѣл. Импер. Русск. Археолог. Общ., т. XVII), стр. 291, მისივე—Иоаннъ Петрицкій, грузинскій неоплатоникъ XI—XII в., стр. 4.

4) ძველი საქართველო, ტომი I, განყოფ. 3, გვერ. 14.

5) Проф. А. Цагарели—О грамматической литературѣ грузин. языка, стр. 106. აქ ჩვენ არას ვიტყვი ფილოსოფოსის იოანე იტალიელის (XI სუკ. გასულს) მოწმობაზე, რომელიც ერთ თავის მეკობარ აფხაზს გრაძმამტკიცოს ქების (Н. Марръ—Иоаннъ Петрицкій... стр. 56), ვინაიდან ბერძნული γραμματικოს უთუოდ ეხლანდელ „გრაძმამტკიცოს“ არ ნიშნავს, თან იმის თქმაც არ შეიძლება დანამდილებით, რომ ეს აფხაზი (Αφχαζος) უაჭველად იოანე ზეტროწია.

მონაზონთა“¹⁾ ცოტა ქვემოთ, ამავე ცხორების არშაზე, შენიშნულია: „შეი-
სწავე, ყოველი სსხელი სიტუაჲ ელღინთაჲ სამიერ, ესე იგი სამსხე არს:
დღვალ, მამალ და არარამელ. და სსხელი მამათა სსწოდებულად ესრეთ იქმნე-
ბის: **ო ანთროპოს**, ეგულებოდის რაჲ წოდება მამაკაცისაჲ, და **ი ანთრო-
პოს**, ესე იგი არს კაცაჲ, ეგულებოდის რაჲ წოდებაჲ დედაკაცისაჲ. ეგრეთვე
მამათა რაჲ მრავალთა უწოდდენ, **ტონ პანტონ**, ესე იგი არს ყოველნივე,
ესე **პასონ**, ესე იგი არს ყოელანი. ²⁾ ამ შენიშვნას უსათუოდ იოანე პეტრიწს
მიაწერს ეველა ის, ვინც ცოტად მინც იცნობს მის სამწერლო მოღვაწეობას;
მაგრამ ეს უფრო დასაჯერებელი იქნება, თუ ამ შენიშვნას დავუნირდაზიერებთ
პეტრიწის ერთს უცვლელად სქოლიოს: იოანე პეტრიწმა, როგორც უკვე აღნი-
შნული გვაქვს ჩვენ, ³⁾ გადმოაქართულა თეოფილაქტე ბულგარელის თხუზულება
„განმარტება იოანეს სსხარებისა;“ აქ ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ შენიშვნას:
„ცან, ვითარმედ ელღადელოთ კითია დედლა დ ითქემის ესე სსხელი (მარია),
ვითარმედ ღმრთეებაჲ, და მარია დედოფლად ითარგმანების, ებრახელისა-გან რაჲ
ელღინურად განდამოიდებოდის.“ ⁴⁾ ამავე თხუზულების მეორე ადგილას ის
შენიშნავს: „არამედ სხუსა ვიდრემე იტუჯს იგი (ქრისტი) და სხუსა გუღის-ხმა
ჭუოეს იგიაჲ (სამარტელი ქალი) წელისა-თჯს.“ ⁵⁾ ბ) მითოლოგიურ-
ზოტურ იხასიათისა. იოანე პეტრიწი იყო ზედმიწევნით მტოდნე ბერძნულ
მითოლოგია—ზოეზიისა და სსწარმართო მწერლობისა, რითაც იმან ხელი შეუწყო
ქართულ სერო ლიტერატურის ჩანერგვა-აუყვავებას; სხვა არა იუოს რა, ქართულმა
საზოგადოებამ მისი სსწავლებით შეითვისა ჭემირისის გმირთა სსხელები. ⁶⁾
29 აგვისტოჲს მეტაფრასის ასეთი შენიშვნა აქვს დართული: „შეისწავე, ხრემულოს-
თჯს იტუჯს ოდესკანი ზღაპართ-მომთხრობელობაჲ, ვითარმედ იგუსეს მრავალნი
მარწმუნენი მოსრულ და დიდად მლოცველნი დიოჲს მიმართ; ხლო სსხანი
ურწმუნო, ურწ, ულოცვანი მის მიმართ, რომელთა-თჯს ერთად ითქნ და ხრემუ-
ლოს-თჯს, ხლო კაცხულ იქმნა რაჲ დიოს განკუთვნილი ბრძენი ვინმე, რომელი
იტუფდა ყოველისა სიმდიდრისა და განმდიდრებისა და მის მიერ ქმნას
ესკეთარ არა განმდიდრებს დიოჲს მიერ.“ ⁷⁾ ცამეტე მარტის მეტაფრასის კი,
სსხათა შორის; შემდეგი სქოლიო აქვს: „მოსაწევართ-მეტეებდ უწოდენ ტრა-
გიკელთა ფილოსოფოსთა, რომელთასა იტუნ, ვითარმედ მოიწის რაჲ მოსაწე-

¹⁾ გელათ. ხელნაწ. № 3, ფურც. 259.

²⁾ იგივე ხელნაწ. ფურც. 278B.

³⁾ იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან, უერნ. „პრომეთე“, № 1, გვ. 65—66, 1918 წ.

⁴⁾ ხაკელ. მუხ. ხელნაწ. № 52, ფურ. 91B.

⁵⁾ იგივე ხელნაწ., ფურ. 27A; აღნიშნულ თხუზულების სათაურში. ბერძნის დედოფალს მარიაჲს იოანე უწოდებს „უფალა“ მარიაჲს.

⁶⁾ Н. Марр — Иоаннъ Петрицкий... стр. 41.

⁷⁾ გელათის ხელნაწ. № 1, ფურც. 572a.

ვარა რაღმე უწყენელი მანქანებით, ესე იგი არს ღონისძიებით შთამოყვანის ღმერთები რაღმე და დაქსიან მოწყენული, ვინამ იმხველვოდრო რაღ იფიგენია მანქანებით შოყვანებულმან არტემი მისცა ირემი და აღტაცებული კლვით განირინა იფიგენია. ¹⁾ 2) როდესაც ჰეტრიწის სქოლიებს ვიმოწმებთ, ზედმეტად არ იქნება ერთ წვრილმანსაც მივაქციოთ კურადღება: ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ერთხელ, რომ ჰეტრიწი სიმრად ბერძნულ ენას „იონთა“ ანუ „ელვადელთა“ ენას ეძახის, ხოლო ქართულს — „სანთა ენას“ ²⁾; მართლაც, 13 ავეისტომან-მეტაფრასის დართული აქვს ასეთი სქოლიო: „განჩუენებოსა დამწერელ-წამკითხველნი! ნუ ცთომილ გინა მრუდოფად ჰგონებთ ლექსსა ამას ახლად-მონათნილობისა-თს, არამედ უოვლად-მართად სანთაცა ენისა მეტრუელობასა ზედა და იონთა ენად-მეტრუელების დამართებასა ზედა; რამეთუ შეჩუენებამა, რომელსა ჩუენ ჩუენითა ენითა ვიტყვთ, წინათარგმანთა ჩუენთა ბერძნულად თქმულსა ანათემამასა ნაცვლად მიუღიეს და ღაუც: და ეგრეთვე მე მათთავე ღმრთეებრითა მადლითა მათისა ნაბიჭვეისა მკრებულმან. ანათემამასა ნაცვლად დავდევ და მოვიდე მართლიად და დანიისბირებით განჩუენებამა, რამეთუ ანათემამასა თარგმანი ესე არს, ვითარმედ განკვდებულა, ანუ განკუეთილი. ამისთჳს შეცა რეცა უფრო დამართებითობისა და უმართლესობისა-თს დაჴწერე განჩუენებამა, ესე იგი არს ჩუენ-გან, განკვდებამა და არა შეჩუენებამა, რომელ არს რამსემე განხუსებამა.“ ³⁾ 6) დასასრულ, მნიშვნელოვან საბუთს ჩვენ გვაძლევს თვით თარგმანის ენა: რამდენად მერევეა და დაუდგომელია ჰეტრიწის ფილოსოფიური ენა, იმდენად მტვიცე და გარკვეულ-ჩამოყოლებიებულია მისი საღმთისმეტრეველო სტილი. ამაში ჩვენ დაგვარწმუნა მისი საღმთისმეტრეველო-ეგზეგეტიურ თარგმანებათა ენისა და სტილის საგანგებო დაკვირვებამ⁴⁾ და მისმა შედარებამ ითანე ქსიფილინისის კრებულის ენასან; იქაც და აქაც ერთი და იგივე სალიტერატურო ნორმები, იქაც და აქაც ჩამოსხმული ჰეროიდი და მიმღობის საშვადებით შემოკლებული წინადადებანი, რაც დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ითანეს სტილისას; აქაც, როგორც იქ, ცხადად ეტყობა, რომ მას „უმეტადინია შემოკლება და ქართულისა ენისა მსგავსად ელისურისა ენისა“ ⁵⁾. თუ უკრადღებეს მივაქცივთ ლექსიკას, აქაც და იქაც ერთი და იგივე, უზარატის ჰეტრიწის მიერ ხმარებულ, სიტყვებს შევხვდებით, როგორც, მაგალითად: ვიდრემე, ეგერა, თანად, ძლითი, უსაშვლოდ, შემდგომისკერ, კურნა, მკვდრთანა, გრძნობადი, სიტყუერი, შესატსი, კალობის-მეტრეველი, იგივეობა, გიობა, ამბებელი, მწერ-

1) გელათის ხელნაწ. № 2, ფურ. 174B.

2) იოანე ჰეტრიწის ხმწერლო მოღვაწეობიდან, „პრომეთე“ 1918 წ. № 1. გვ. 62—63.

3) გელათის ხელნაწერი № 1, 375B.

4) იხ. ჩვენი „იოანე ჰეტრიწის ხმწერლო მოღვაწეობიდან“, ჟურ. „პრომეთე“ № 1, გვ. 62—70, ტფილ. 1918 წ.

5) ძველი საქართველო, ტ. 1, განყ. 3, გვ. 14.

ტელი, ძუნვა, მიკტი და სხვა; ბერძნული სიტყვები—ანდრისატი, ართრონი, და ბერძნული ფორმა საკუთარ სახელებს: სავვა, ვართოლამეოს, იოანნი, ათანასიოს, იისუჲ—იისუჲს; რთული სიტყვების ხმარება: მიხე-ცნობაობა, კელთ-მღებელობა, დიდ-გმობა, წამალთ-მსმეველობა, იძუნ-მიტეუეუა (შემაერთებელი რკალი, —, სიტყვების შუა კი არ ზის, არამედ მათ ქვემოთ); სიტყვებში ხშირად ამ თუ იმ მარცვალს მხვილი (') აზის.

უკუკვლია, რადესაც მის დროს ჭ მისი მონაწილეობით დამთავრდა სვიმეონ ღოღოთეტიის მეტაფრასების ქართულად თარგმნა, იოანემ საჭიროდ დანახა ამ შრომის გარეულებების, ქსიფილინოსის მეტაფრასების, კადმოქართულება, რაც თვითონვე იკისრა და შეასრულა კიდევაც. რასაკვირველია, ძნელია იმისი თქმა, რომ უველა ის ცხორება-ქადაგებანი. რომელიც სამ უზარ-მზარ ტომად ინახება გელათში და კათოლიკოს უედომიანის ბრძანებითაა გადაწერილი, იოანე ქსიფილინოსს ეკუთვნის და იოანე ზეტრიწის მიერაა თარგმნილი; შესაძლებელია, შემკრებლებმა და კადმოქრებლებმა ბევრი რამ ისეთი შეიტანეს ამ კრებულში, რაც არც ქსიფილინოსს და არც ზეტრიწს ეკუთვნის, ეს საკანკებო გამოკვლევას თხოულობს; ამჟამად ჩვენთვის სავსათა იმ ისტორიულ-ლიტერატურულ დებულების მიღება და შეწყენება, რომ იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასები ქართულად უთარგმნია იოანე ზეტრიწს მეთორმეტე საუკუნის ზირეულ ხსენვარში, მიუთუ დიმიტრი ზირველის დროს.

* *

ჩვენი ექსკურსი მსოფლიო ეკლესიის წმიდანების ცხორება-მარტვილობათა ქართულად გადმოთარგმნის შესახებ სრული არ იქნება, თუ გაკვრით მაინც არ შევხებთ სხვა ჰეგიოგრაფიულ დარგებსაც.

ვრცელ მარტვილობა-ცხორებათა გარდა ეკლესიაში მერვე—მეცხრე საუკუნიდან დამუშავდა შემოკლებულ ცხორებათა კრებული, რომელსაც სუხაქსარი (Συχαξάριον) ეწოდება. ბერძნულ სუხაქსარს რამდენიმე სხვა და სხვა რედაქციით მოუღწევია ჩვენამდე, რომელნიც სინსრულით და შედგკილობით განირჩევიან ერთი მეორისაგან; მაკალითად, არის რედაქცია VIII—IX საუკუნისა, გამოცემული ზრთო. ა. დ მიტრი ევსკის მიერ, ¹⁾ X—XI საუკუნისა ბსილი იმპერატორისა, ²⁾ XI—XII საუკუნისა, რომელიც გამოსცა ბოლანდისტმა Hip. Delehaye-მ³⁾ და სხვ. გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფის სიტყვით, „სუხაქსარი არს საფუძველი ეკლესიათა, რომლისა თნიერ შეუძლებელ არს წარმართებაჲ ეკლესიისაჲ, რამეთუ რომელსა ეკლესიას სუხაქსარი არს ჰქონდინ, თაფლსა ჭმს, ხოლო სიტუბობასა

¹⁾ Описание литургических рукописей, хранящихся в библиотеках православного востока, т. I, стр. 1—110, Киевъ 1895 г.

²⁾ K. Albani—Menologium Graecorum jussu Basilii imperatoris Graeciae olim editum, Urbini, 1727 an.

³⁾ Propylaeum ad Acta Sanctorum Novembris. Synaxarium ecclesiae Constantinopolitanae, Bruxellis, 1902 an.

სას ვერა სცნობს.⁴⁾ თუ ეს ასეა, თავისთავად ცხადია, ქართველებმა მას კადმოთარგმნულად არ დასტოვედნენ; მართლაც, გიორგი მთაწმიდელი ამბობს, რომ წმ. ექვთიმე ათონელმა, სხვათა შორის, სთარგმნა „სჯნაქსარი საწელიწდოჲ უმცროჲსი,“⁵⁾ ხოლო გიორგის ბიოგრაფი ამის შესახებ ასე მოგვითხრობს: „დადაცთუ ეთარგმნა წმიდას მამას ეთოჲმეს სჯნაქსარი, გარნა თრად სულ მცირედ აღწერა სსუთა წიგნთა თარგმანებისა უცლადებითა.“⁶⁾ ექვთიმეს მიერ თარგმნილი „მცირე,“ ესე იგი შემოკლებული სჯნაქსარი, ამდენს დაკარგულად ითვლებოდა; იმის ფრაგმენტი ჩვენ აღმოვაჩინეთ ამ რამდენიმე წლის წინად სკეპლესიო მუზეუმის ხელნაწერში № 6484⁷⁾; ექვთიმეს ის უთარგმნა ივერიის მონასტერში წინაძღვრობისას (998—1012) უძველეს რედაქციის დედნიდან, რომლის არჩეტიჰს ჩვენამდე არ მოუღწევია. ვინაიდან ის მეტად მოკლე და მარტივი იყო, გიორგი მთაწმიდელს, როდესაც ის დეკანოზი გახდა (1038—1042), უთარგმნია მეორე, უფრო ვრცელი რედაქცია, ეგრედწოდებული „დიდი სჯნაქსარი,“⁸⁾ 895—906 წლებში დაწერილ დედნიდან. ეს „დიდი სჯნაქსარი,“ რომლის ნუსხა ბლომად მოაზრებდა ჩვენს სიძველეთსაცავებში, ამ ათიორე წლის წინად ჩვენ დაწვრილებით შევისწავლეთ⁹⁾.

საბერძნეთის ეკლესიაში ცნობილი იყო ერთნაირი ტალექსილი სჯნაქსარი, რომელსაც ქართულად იამბიკონი ეწოდება. ესეთი სჯნაქსარი ზირველად მეთერთმეტე საუკუნის ნახევარში დაიწერა ქრისტეფორე მიტილენელის მიერ⁷⁾. ეს იამბიკონი, ზირველი ოთხი თვისა, ქართულად იოანე ზეტრიწს უთარგმნია.⁸⁾

მეთათე საუკუნიდან, როდესაც ქრისტანობის წიაღში ასკეტიზმი გაიფურჩხნა, ეკვაზტის, პალესტინის, ასურეთის, შუამდინარის, მცირე აზიის და სხვა ადგილების უღანბოები, მთა-მადარბოები და ნაზრადები სულ ერთიან მოღვაწეობითა და ბერებით აივსო. ზოგაერთა მათგანის, უფრო ცნობილისა და სახელგანთქმულის, ვრცელი „ცხორება“ აღწერიდა, მაგრამ უმრავლესობა ჩუმი და

1) ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, გვ. 297.

2) *ibid.*, გ. 28.

3) *ibid.* გ. 297—298.

4) Прот. К. Кекелидзе — *Иерусалимский Канонарь VIII*, стр. 297—310.

5) ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, გვ. 297.

6) Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, стр. 228—313. 497—506.

7) K. Krumbacher—*Geschichte der byzantinischen Litteratur*, 1897, S. 737—740.

8) Н. Марръ — *Дьянія Спевсипа, Еласипа и Меласипа* (Зап. Восточн. отд. Импер. русск. Археол. общ. т. XVII), стр. 80; მიხევე—*Иоаннь Петрицкый*... стр. 4. მეორე ოთხი თვე, პლ. იოსელიანის სიტყვით, უთარგმნია არსენის, ხოლო უკანასკნელი—ანტონ I კათოლიკოს (Краткая история Церкви, стр. 134, прим. 7. С.-Петербург. 1843 г.).

შეუმჩნევლად მოღვაწეობდა, ამიტომ მათ შესახებ თუ რამე დანახილვა, სულ მოკლე და ფრთაშეკვეცილი ცნობები, რომელნიც მათ მოწაფეებს გადამოუციათ. ამ ცნობებისათვის თავი მოუყრიათ შემდეგ და აზნაირად გაჩენილ სხვა და სხვა გვარის კრებულები, რომელთაც ჰაგიოგრაფიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ. აი ეს კრებულები:

1. *Αποτίγματα τῶν ἀγίων πατέρων*,¹⁾ სადაც მოყვანილია სხვა და სხვა მოღვაწეთა სხეულები აზნაირი რიგზე, მათ შესახებ მოკლე თქმულება და ამასთანავე მათი ჰაზრები და სენტენციები სარწმუნოებრივ-ხეობრივ ხასიათისა. ეს კრებული, რომელიც მრავალ რედაქციითა წარმოდგენილი, საბოლოოდ შექმნილია სუკრემუმი ჩამოყალიბდა²⁾ და თითქმის ეგვლა საქრისტიანო ენაზე გადათარგმნა. ერთი იმის რედაქცია ქართულადაც უთარგმნიათ; ეს რედაქცია, რომელიც ათონზე (№ 51) და სინას მთაზე (№№ 76, 80) შენახულა, დაწერილებით აუწერია აკად. ნ. მ. რ. ს³⁾; როდის ან ვისგანაა ის ნათარგმნი, არ ვიცით; მხოლოდ, თუ მართალია ნ. მარის მოსაზრება, რომ ქართული თარგმანი უნდა მომდინარეობდეს ასურულ წყაროებიდან სომხურის საშუალებით, ის უძველეს დროს, არა უგვიანეს შერვე სუკრემის, ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ. ამას არ ეწინააღმდეგება არც ენა ამ კრებულისა, რამდენადაც მას ვიცნობთ ნ. მარის მიერ მოყვანილ ამონაწერებით.

2. *Λαυσιაკόν* ზალადი ჰელენეზოლოგისა, რომელიც 419—420 წლებშია დაწერილი და შეიცავს მოკლე ცნობებს ეგვიპტის მოღვაწეთა შესახებ⁴⁾. ამ თხუზელეებს, რომელიც ეფრემ მცირეს უთარგმნია, „ლაუსიაკონი“ ჰქრქვია ქართულად⁵⁾. ქართულ თარგმანს⁶⁾ საფუძვლად უქვეს Joan. Meursius—ის მოკლე რედაქცია,⁷⁾ როგორც ეს ჩვენ უკვე გვაქვს ადნიშნული⁸⁾.

¹⁾ Migne—Patrol. græca T. LXV, p. 71—44⁹⁾.

²⁾ Проф. И. Троицкий—Обозрѣніе источниковъ начальной исторіи египетскаго монашества, стр. 322—333, Сергіевъ—Посадъ, 1906 г.

³⁾ Агиографическіе матеріалы по груз. рукописямъ Ивера, ч. I стр. 16—36.

⁴⁾ С. Butler—The Lausiaca History of Palladius, Cambridge. 1898; Preuschen—Palladius und Rufinus, Giessen 1897; И. Троицкий—Обозрѣніе источниковъ... стр. 189—260.

⁵⁾ Н. Марръ—Изъ книги царевича Ваграта о груз. переводахъ. стр. 234, 241.

⁶⁾ ხაეკლ. მუზ. ხელნაწერები № № 143, 154, 164, 166, 196, 362, 400, 682, 750.

⁷⁾ Palladii episcopi Helenopoleos—Historia Lausiaca, Lugduni Batavorum 1616.

⁸⁾ Эпизодъ изъ начальной исторіи египетскаго монашества (Труды Кіев. Дух. Академіи, 1911 г. февраль—мартъ) стр. 9, прим. I.

3. *Φιλόσοφος ιστορία*, resp. *Θεοφιλις ιστορία* ნეტარის თეოდორიტი, კვრელ ეპისკოპოსისა, ¹⁾ († 457) შეიცავს შუამდინარის და ასურეთის მოღვაწეთა მრავალ ბიოგრაფიებს. ეს თხუზულებაც ეფრემ მცირეს უთარგმნია ქართულად და ჩვენს მწერლობაში ცნობილია როგორც „ფილოთეონ ისტორია“; ეს თვით ეფრემის მინაწერიდანაა სჩანს: „ამა წიგნსა ეწოდების „ფილოთეონ ისტორია““, რომელ არს „დმრთის-მოყურებთი თსრობა“; რამეთუ ვითარ იგი კლემაკისა და დიოდორისა იგივე ბერძული სახელი უწოდანს ქართულადცა, ეგრეთვე ამისათვის უსაკუთრეს არს წოდებად „ფილოთეონ ისტორია“, რომელი ესე თვით აღმწერლისა ამისისა თეოდორიტესაგან არს ამისდა.“²⁾

4. *Liber Dialogorum* რომის შანის გრიგოლი დიდისა († 604), რომელმაც ამ თხუზულებისაგან *Διάλογος*-ის სახელი მიიღო; ³⁾ ამ თხუზულებაში შეკრებილია ცნობები დასავლეთის, კერძოთ იტალიის, მოღვაწეთა შესახებ; სხვათა შორის აქ მოხსენებულია ვიდაც ზეტრე იბერიელი, ესე იგი ჭესზანიელი, რომელიც ჩვენ წინაშართ ქართველად მოუნათლავთ. ეს წიგნი „დიოდორის“ სახელით ქართულად გადმოყარგმნია წმ. ექთიმე ათონელს, როგორც ეს მისი ბიოგრაფიიდან ⁴⁾ და „დიოდორის“ ხელნაწერებიდან ⁵⁾ სჩანს.

5. *Λεμιών*-ი ჰალესტინელ ბერის იოანე მოსისისა ⁶⁾; ეს თხუზულება, რომელშიაც მოყვანილია ცნობები ჰალესტინის, ეგვიპტის და ასურეთის მოღვაწეთა შესახებ ⁷⁾, იოანეს 620—622 წლებში დაუწერია და მიუძღვნია თავისი მოწაფის და თანამგზავრის, შემდეგ იერუსალიმის პატრიარქის, სოფრომოსისთვის ⁸⁾. ის ქართულადც უთარგმნიათ, თუმცა როდის ან ვის, არ ვიცით; ყოველ „შემთხვევაში ათონზე იწახება ერთი ცალი მისი, რომელიც 977 წელს ვიდაც სტეფანე დეკანოზს გადაუწერია ოშქის ლავრაში. ⁹⁾ ბერძულად ამ წიგნს *Λεμιών*-ის გარდა ეწოდება *Παραδείσιος* ანუ *Παραδείσιον*, ამიტომ სრულიად ბუნებრივია ის სათაური, რომელსაც ის ქართულად ატარებს: „ამას წიგნსა სამოთხე ეწოდების, რომელსა შინა წერიდ არიან საქმენი და განკებანი წმიდათა მამათანი

¹⁾ Migne—Patrolog. graeca t. LXXXII.

²⁾ საქელ. მუხ. № 682, 79ვ—80, № 689; შეადარ. Н. Марр—Изв. книги царевича Баграта о грузинских переводах. стр. 235, прим. I.

³⁾ Migne—Patrol. Latin. t. 77.

⁴⁾ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, გვ. 29.

⁵⁾ საქელ. მუხუდების ხელნაწ. №№ 167, 238, 829.

⁶⁾ ზოგიერთი სიძველემოყვარე ქართველი „მოხსნ“ „მცხნად“ ჰკითხულობს და ამიტომ იოანეს ქართველად ჰრაცხს.

⁷⁾ Migne—Patrol. graeca t. 87, col. 2852—3112.

⁸⁾ K. Krumbacher—Geschichte der byzantinischen Literatur, 2 auf. s. 187—188.

⁹⁾ Проф. А. Цагарели—Свѣдѣнія о памятникахъ груз. письменности, вып. I, стр. 89—91, № 69.

და ქრისტეს-მოკოჯარეთა დედათანი. რომელი აწეებს ყოველთა საინოებთა სარ-
გებულად კაცთა და ბოროტის-მოქმედთა-თვისცა, რომელთა არა უპირიდა ღმრთისა;
აღწერა ამბა იანაჲ, მოძღუარმან სოფრთნი იმ^წ ლიმელ, ჰატრიაქისამან². 1).

III.

მოკლე აღნუსხვა ხელნაწერებისა.

ზოგიერთი ტექსტი ამ გამოცემაში ამოღებულია რამდენიმე ხელნაწერთა-
გან, ამ შემთხვევაში ხელნაწერები აღნიშნული გვაქვს რომაული ასოებით, ხოლო,
თუ ტექსტი ამოღებულია ერთი ხელნაწერიდან, იმას თანხმისდევს მხოლოდ გვერ-
დების და არა ხელნაწერის სთავალავი. საჭიროდ ვთავაზობ მოკლედ აღვნიშნოთ
ეგვლა ის ხელნაწერები, რომლებიდანაც ამოღებულია ამ ჰირველ ტომში მოთაფ-
რებული ტექსტები.

B=ათონის ივერიის მონასტრის X საუკუნის ეტრატის ხელნაწერი № 57,
რომელიც დაწერილებით აწერილი აქვს აკად. ნ. მარს; ²) ამ ხელნაწერიდან
ჩვენ ამოღებული გვაქვს ათი ტექსტი, სახელდობრ II, V, VI, VIII, IX, XI,
XIII, XV, XVII, XVIII, რომელთა ფოტოგრაფია სამეცნიერო აკადემიის საზიო
მუზეუმიდან მივიღეთ.

C=საეკლესიო მუზეუმის (ტფილისში) ეტრატზე ნაწერი X საუკუნის
ხელნაწერი № 95, რომელიც აწერილი აქვს თ. ჟორდანისას³); აქედან ჩვენ
ვიღებთ ექვს ტექსტს: III, VIII, IX, X, XI, XIV.

E=საეკლესიო მუზეუმის უხეშ ეტრატზე X—XI საუკუნეში გადაწერილი
ხელნაწერი № 249 ⁴), საიდანაც ჩვენ ამოღებული გვაქვს ორი ტექსტი: I, XX.

H=მარტვილის მონასტრის ხელნაწერი № 1, გადაწერილი 1030 წელს;
ხელნაწერი ეტრატისა, ზომით 31×22 სანტ. (ტექსტი 23×14, დაშლილი,
უკლა და უთავბოლო; სულ იმაში 850 გვერდია, თვითეულ გვერდზე 23 სტრი-
ქონი. შინაწრის: 1) ცხორებაჲ მკჳსიმე აღმსარებულისაჲ (გვ. 1—110), რო-
მელსაც თუგმი აკლავ 15 ფურცელი; ცხორების ბოლოს ტექსტისავე ხელით
სწერას: ლიდებაჲ ღმერთსა: დასრულაჲ ცხორებაჲ წმიდისა მამის ჩუგინისა
მკჳსიმესი. ქრისტემან სასიდიელი შრომათა მისთათუს მიეცინ მამსა ეფთჳმეს,
რომელმან თარგმნა წიგნი ესე სოჯლთა განმანათლებელი. აწ იუაენ-
2) სიტყვ-გებაჲ, რომელი იქმნა შორის წმიდისა მკჳსიმესა და ჰირსონის

¹) Н. Марр - Агиографическіе матеріалы по грузин. рукопи-
сямъ Ивера, ч I, стр. 84.

²) Агиографическіе матеріалы по грузинскимъ рукописямъ
Ивера (зап. Восточ. отд. импер. русск. Археол общ. т. XIII), ч. 2,
стр. 72.

³) Описание рукописей Тифлискаго церковнаго музея, I, стр.
96—114.

⁴) ibid. стр. 261—263.

პატრიარქის მწვალებელის (გ. 110—151). 3) წმიდისა და ნეტარისა კონსტანტინეზოელ მამისა ჩუენისა მარქიმის: ნეტარისა თაღასეს მიმართ სოჯცისა და მამასხლისისა მრავალთა მონაზონთაჲსა, სიტყუათაჲს, რომელთა განმარტებამ ეთხოვა მას ნეტარისა მარქიმს-გან (გვ. 152—665); ამ სტატის ბოლოს, 664—665 გვერდზე; ტექსტის სულთ დაწერილთა: „დოდებამ ღმერთსა. დასროჯლა კითხვა-მიკებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა და აღმსარებელისა მარქიმის: ვინცა მიემთხვეთ შემდგომითი-შემდგომად სოჯლისა განმანათლებელთა ამთ სწავლათა, ლოცვასა მომიკსენეთ გლასაკი ესე და ცოდვილი ეუთუჲ, რომელმან ესე მოუკიერი წიგნი ბერძოჯლისა-გან ქართოჯლს ენას ვთარგმნე სლოცველად მამისა ჩემისა იოვანესისა და სჯკსენებულად თჯღირ-სებისა ჩემისა: გვეედრები ეთველთა მწერალთა, მკითხველთა და მსმენელთა, ქსენებულმცა ვართ ლოცვათა შინ თქოჯნთა, რათა თქოჯნცა სსყიდელი სი-ეოჯაროჯლისაჲ მიიღოთ თჯღისა-გან: ხლო დაწერა ბრძანებითა და ჩებითა სჯქარისა ებისკოპოზისა ბანაელისა და სჯგელოზისაჲთაჲთა ეელითა თჯღირისისა და თჯტად მჩხრავალისა ისაკისითა ქაღასისა კონსტანტინეზოელის, მონასტერსა მისეჲ ბანაელისა ებისკოპოზისისა სჯგელოზისისა ეთველთა წმიდათა: აგია მარქს: მეუთობას რომანოზისისა: რამე წიგნსა შინ ვიბოვე, რომლისა-გან კადგე-წერე. არა კამომიგვადებთ სიტყუათაჲ არცა მიკაზმავს. ღმერთი არს მოწამც. და არცა რამე დამოვლით. და თოჯ რამეჲ დამწომოდს შეგაწამე წიგნსა და ჩათრთე. რამეთოჯ მთარგმნელი სოჯლისა წმიდისა მადლითა სჯესე ეთ და ბრქენ და თრინად მეცნიერ ბერძოჯლ... 4) წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩოჯენისა მარქიმე აღმსარებელისაჲ. სიტყუს-გებისა-თჯს ვნებათაჲსა. მოწერილი მამისა თაღასეს მიმართ (გვ. 666—850). ამ სელნსწერიდან ჩუენ ვიღებთ მარქიმე აღმსარებელის ცხორებას (VII B).

⌒=საეკლესიო მუხეუემის XV სუეკენის სელნსწერი № 382, 1) სიდანაც ჩუენ ამოღებული გვაქვს წმ. ნისიმეს ცხორება (XX).

N=საეკლესიო მუხეუემის 1697 წლის სელნსწერი № 105 2), რომლიდანაც ვიღებთ სეიმონ მესუეტის ცხორებას (XXI).

O=საეკლესიო მუხეუემის 1728 წლის სელნსწერი № 636, 3) სიდანაც ვიღებთ მარქიმე აღმსარებელის ცხორებას (VII B).

P=საეკლესიო მუხეუემის 1715 წლის სელნსწერი № 121, 4) რომლიდანაც გრიგოლ ზაზის ცხორებას ვიღებთ (XII).

1) *Θ. Жорданія—Описание рукописей Тифлисского церковнаго Музея, I, стр. 372—377.*

2) *ibid. стр. 121—122.*

3) *ibid., вып. II, стр. 123.*

4) *ibid., вып. I, стр. 130.*

R=საკელესიო მუზეუმის XVII საუკუნის ხელნაწერი № 511, 1) რომელიდანაც ვიღებთ ბასილ ჰამულის ცხორებას (II).

S=სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერი, რომელიც 864 წელსაა გადაწერილი გრიგოლ ხანძთელის მოწაფის მაკარისაგან; ამ ხელნაწერიდან, რომელიც აწერილი აქვს ზროფ. ა. ცაგარელს, 2). ჩვენ ვიღებთ სინა-რაითს მოსრული მამათა ცხორებას (V). ეს ტექსტი გადმოუწერია ნ. მარს სინას მთაზე ერთნისას 1902 წელს და სამეცნიერო აკადემიისათვის გადაუცა, ხოლო აკადემიამ ჩვენ დაგვითმო გამოსცემად.

U=საკელესიო მუზეუმის XVIII საუკუნის ხელნაწერი № 177, 3) სიდანაც ამოღებული გვაქვს სეიმონ მესვეტის ცხორება (XXI).

Q=ჯრუჭის მონასტრის ეტრატის ხელნაწერი № 4, ზომით 26×19 სანტ. (ტექსტი 20×13), 686 გვერდიანი, ნუსხა ხუცროთ გადაწერილი 1031 წლის ახლო ხანებში ვილაც ზავლეს მიერ; 4) ხელნაწერს თავში ერთი ფურცელი აკლია, შგში აქა იქ ეტრატის ფურცლების მაკიერ ქაღალდის ჩუქურბით. მის ხის, ტყავ გადაწერილი, უდა აქვს გაკეთებული. შინაარსი: 1) ცხორებაჲ მაქსიმე აღმსარებელისაჲ (გვ. 1—117); 2) სიტყვს-გებაჲ, რომელი იქნა შორის წმიდისა მაქსიმეს და ზიროს კონსტანტინეპოლელ ჰატრიარქის მწვალებელისა (გვ. 117—150); 3) წმიდისა და ნეტრის მამის ჩუქინის მაქსიმესი ნეტრის თაღასეს მიმართ ხუცისა და მამასახლისის მრავალთა მონასტერთაჲს სიტყუათათჲს, რომელთა განმარტებაჲ ეთხოა ნეტრის მაქსიმეს-გან (გვ. 150—541); 4) წმიდისა და ნეტრის მამის ჩოყინის მაქსიმე აღმსარებელისა სიტყვს-გებისათჲს ვნებათაჲს, მიწერილი მამის თაღასეს მიმართ (გვ. 541—686). ამ ხელნაწერიდან ჩვენ ვიღებთ მაქსიმე აღმსარებელის ცხორებას (VII B), რომელიც, სამეცნიერო აკადემიის დავალებით, გადმოუწერია ჰეტროგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტის სტუდენტ დ. ეიფშიეს; ბ. ეიფშიდის ნუსხა ჩვენ აკადემიამ გადმოგვცა.

X=საკელესიო მუზეუმის 1748 წლის ხელნაწერი № 167, 5) რომელიდანაც გრიგოლ ზაზის ცხორებას ვიღებთ (XII).

№ 19 საკელესიო მუზეუმის, კვრედ წოდებული სვასური ასომთავრული ეტრატის ხელნაწერი მათე საუკუნისა, რომელიც თ. გორდანიას აქვს აღ-

1) *ibid.*, стр. 62—64.

2) Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности, вып. II, стр. 92—93, № 83.

3) М. Жорданія—Описание рукописей Тифлискаго церковнаго музея, I, стр. 186—187.

4) Н. Кондаковъ и Д. Бакрадзе — Опись памятниковъ древности въ нѣкоторыхъ храмахъ и монастыряхъ Грузин, стр. 155—156, петерб. 1890.

5) М. Жорданія — Описание рукописей Тифл. цер. музея, I, стр. 173—174.

წერილი;¹⁾ აქედან ჩვენ ამოღებული გვაქვს ხარების სკაითსავი იაკობ ბატანჯელის (XVI).

№ 535 საქართველოს სისტორიო და სკიენოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის, რომელიც სვანეთიდანაა ჩამოტანილი; ხელნაწერი, რომელსაც თავიც ავლია და ბოლოც, გადაწერილია X—XI სუკუნეში უშნო სუსხსეუცრით უსკუტრატზე; ზომა ხელნაწ. 20×17 სანტიმ., დარჩენილა შიკ სულ 178 ფურცელი. შინაარსი: 1) წარტუეენვაჲ იერუსალიმისაჲ, წიგნი ზაქარია ზატარქისა და უწეებაჲ ცხოველმოფელის ჟუარისაჲ (ფ. 1—33)²⁾; 2) განსუენებაჲ იოვანსი მოციქულისაჲ (ფ. 33—39); 3) წამებაჲ წმიდისა იაკობისი, ძმის ოლისაჲ, რომელი დაღჯა იზღიმს ეზისკანსად (ფ. 40—43); 4) წამებაჲ წმიდისა სტეფანსისი იზღიმს ზირველდიაკონისაჲ (ფ. 43—50); 5) ზოვნაჲ წმიდისა სტეფანსისი, რჩეულისა მის მსახურისაჲ და ზირველდიაკონისაჲ (ფურ. 50—61); 6) მიცვალებაჲ ნაწილთა წმიდისა სტეფანსისთა იზღიმით კოსტანტინეპოლეს (ფ. 61—75); 7) თქუმული წმიდისა ეგუემისი, მოძღუერისა მის გუროხეულისაჲ (ფ. 75—92); 8) წამებაჲ წმიდისა არეთასი და კრებულისა მისისაჲ ნებრა ქალაქსა უმერიტელთასა (ფ. 92—121) 9) წამებაჲ წმიდისა გიორგისი ჭეშმარიტი (ფ. 126—139); 10) თქუმული წმიდისა იანტონ ხეცისაჲ ზომისაჲ გურთსევისათჲ; ლუდიის ეკლესიისა, რომელ არს ტასარი წმიდისა მოწამისა გიორგისი, და უწეებაჲ განგებისათჲს წმიდისა ბასილი კესარია კაბადუგიელ მთავარეპისკოპოსისაჲ (ფ. 139—145); 11) წამებაჲ წმიდისა ქრისტეოტონსისა (ფ. 145—161); 12) წამებაჲ წმიდისა ფოკასი (ფ. 161—172); 13) გამოძიებისათჲს მეღქმისეულისა (ფ. 172—175); 14) წამებაჲ წმიდისა ზროტონისი (ფ. 175—177); 16) საქმეწ წმიდათა კოსმან-დამიანეთაჲ და კურნებანი მათნი. ამ ხელნაწერიდან ამოღებული გვაქვს განსუენებაჲ იოვანსი მოციქულისაჲ (XIX).

Add. 11281 (2764) ბრიტანიის მუზეუმისა, გადაწერილი ეტრატზე 1034—1042 წ. ჟუარის მონასტერში³⁾; აქედან ამოღებული გვაქვს იოანე შეენებულის ცხორება (IV), რომლის ფოტოგრაფია სმეცნიერო აკადემიამ გვიმოგა.

№ 188 საეკლესიო მუზეუმისა, მეცამეტე საუკუნის ხელნაწერი,⁴⁾ სადაზნაც ამოღებულია ზანათო ალექსანდრიელის ცხორება (VIA).

1) Ibid. стр. 12—17.

2) Н. Маррь, — Антиоха Стратига—Плѣнение Иерусалима персами въ 614 году, стр. а—в, С. Петербургъ, 1909 г.

3) ამის აწერილობა იხილ. ჩვენს გამოცემაში—Житие и подвиги Иоанна, католикаса Урхайскаго (Христ. Вост., т. II, вып. 3, стр. 301—348). Q. Wardrop—Catalogue of Georgian manuscripts.

4) Θ. Жордания—Описание... I, стр. 210—213.

მოკლე ისტორიულ-ლიტერატურული და პაგიოლოგიური ანალიზი ტექსტებისა.

ჩვენი გამოცემის პირველ ნაწილში, როგორც ზემოთა გვაქვს ნათქვამი, მოთავსებული იქნება ეგრედ წოდებული „კიემენი“, ესე იგი ძველი გადაუკეთებელ-გარდაუქმნელი ტექსტები, რომელნიც ქართულად უთარგმნიათ არა უგვიანეს მათე სუკუნისა. ამ პირველ ტომში დაბეჭდილ მასალის შერჩევის დროს ჩვენ იმდენად ტექსტების ფილოლოგიური მხარე არ გვაინტერესებდა, — ჩვენი მიზანი ისტორიულ-ლიტერატურული, უფრო კი პაგიოლოგიური იყო: ჩვენ გვინდოდა პირველ ვოფლისა გამოგვეცა ცხრება-მარტვილობა ისეთ წმიდანებისა, რომელნიც პაგიოლოგიაში ცნობილნი არ არიან, ან ისეთებისა, რომელნიც თუმიც ცნობილნი არიან, მაგრამ ცხრება-აუწყრელნი, ანა და, დასასრულ, ისეთი ცხრებანი, რომელნიც ქართულად განსხვავებულ რეაქციით შენახულან. ჩვენ ბლომად შეგვარიბეთ და დავამზადეთ ასეთი ტექსტები, მაგრამ, სამწუხაროდ, სტამბაში მუშაობის აუტანელმა პირობებმა გვამძულა დღესდღეობით მხოლოდ იანვარ-მარტის თვეები გამოგვეცა, სულ ოცდა ორი ტექსტი¹⁾, სხვები კი შემდეგ ტომისათვის გადაგვედგა. აუცილებელ საჭიროებად ვთვლიდ მოკლე ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები მოვითხროთ ამ ტექსტთა შესახებ, რომელნიც დღის რიგზე გვაქვს დაბეჭდულ—დაბეჭდილი.

I. (ტექსტი)—თქმული ერენუმოს, ჰრომთა ქალაქის ხუცისა, მოღუაწებისა—თჯს წმიდისა ბასილისა და განახლებებისა—თჯს ლუდის ეკლესიისა, ამოღებულია სუკელ. მუხ. ხელნაწერიდან № 249 და სუკელესიო შერლობაში ცნობილი არაა²⁾; ჩვენ არ ვიცნობთ არც ერენუმოს, ჰრომთა ხუცეს, არც მის მოწაფეს სეტრონიეს, რომლისთვისაც მას ბასილის თაგადანსავალი უამბნია „იონთა ენითა და ასურულადაც“. ბასილის შესახებ აქ გადმოცემულია ანაკრიოთული ხასიათის მასალა, სავსე ანაქრონიზმებით და ისეთი საეჭვო ცნობებით, როგორც გარდაცვალება მისი „დღეთა დოროთეოს(?) მეფისა,“ აშენება მის მიერ ლუდის წმ. გიორგის ეკლესიისა და განწყება სავი გიორგობისთვის დღესასწაულისა“). ფანტასტიური ხასიათი ამ „თქმულებისა,“ ამითაც მტკიცდება, რომ ის შეადგენს გავრძელებას, თითქმის მერვე ნაწილს, ნ. მარის მიერ გამოცემულ ანაკრიოთისას, რომელსაც ეწოდება „წიგნი, რომელი დაწერა იოსებ არიშათიელმა, მოწაფემან ოქლისა ჩუენისა იჯ ქრისტესმან, და

¹⁾ გამოცემაში შეცდომით მეშვიდე ნომრით ორი ტექსტია დაბეჭდილი.

²⁾ პაგიოგრაფიული ლიტერატურა ბასილის შესახებ დასახლებულია Bibliotheca hagiographica graeca, გამოც. 2, Bruxellis 1909, გვ. 37—39, Bibliotheca hagiographica orientalis, Bruxellis 1910, გვ. 40—42.

³⁾ Архиеп. Сергий—Полный мѣсяцесловъ Востока, т. II, ч. 2, стр. 453, Владимиръ 1901 г.

თხრობაჲ აღმსწებლისათჳს ეკლესიისა, რომელი იგი არს ლუდიას შინა, ქაღაქისა წმიდისა დ' ფელისა ჩუენისა მარამ დ' თის-მშობლისასა; ¹⁾ თუმცა უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ კონსტანტინეპოლის ეკლესიაში ყოფილად ისეთი ვერსია, რომელიც ბასილს მართლად მიაწერს ლუდიის ეკლესიის აქენებას; ეს ვერსია მოყოლია სოფია-წმიდის სჯარსი, რომელიც გიორგი მთაწმიდელს უთარგმნისა ქართულად; აი ეს ვერსია, რომელიც ახლო სდგას ერენუმოსის თქმულებას: „ამასვე დღეს (3 ნოემბერს) სტუტურება წმიდისა და დიდებულისა მთავარ-მოწამისა გიორგისი, რომელი განაწესა დიდმან ბასილი; რამეთუ მოვიდა ოლ-ლემს თაყუანისცემად წმიდათა ადგილთა და დადგინა დიდი კურთღე ოლ-ლიმისა მთავარებისკაზობად, და მოაქცა რაჲ, მოვიდა მდღელთ-მოძღვართა მათ თანა, რომელნი მის თანა იყვნეს, და მდღელთა და აკურთხა ეკლესიაჲ ლუდიასა, რამეთუ მას ჟამს ოდენ აღშენებულ იყო, და დასწნა მას შინა ნაწილნი წმიდისა და ყოვლად-ქებულისა მოწამისა გიორგისნი“ ²⁾ შეიძლება ამით აისწებოდეს ისიც, რომ ანდრია კრიტელის ქადაგებას ერთ ქართულ ხელნაწერში ასეთი სათაური აქვს: „შესწამა წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი, რომელი თქვა წმიდამან ბასილი კესარიელმან დღესა მას ღუაწლისა მისისასჲ“. ამ ტექსტის შესახებ უნდა ითქვას ის, რასაც ნ. მარია ამბობს მის მიერ გამოცემულ, ზემოაღსანიშნულ, ანოკრითის შესახებ, რომ ის წარმოშობილია ზალესტინაში და ქართულად კადმოთარგმნილი V III-IX საუკუნეში ან ასურულ, ან ბერძნულ ენიდან, თუმცა რომიდან, დანამდვილებით არ ვიცით. ³⁾ მერვე—მეცხრე საუკუნის იარაღს უდგება ის ფონეტიკური მოფერება, რომ ბერძნული „ამთილოზი“-ს მაგიერ ქართულად ნახმარია „ამთილოში“ (1, 16, 2, 31); ნ. მარია დავკვირვებით ბერძნული ხ ქართულ შ გარდაქმნა, რომელსაც სინა-ზალესტინის მეთაუ საუკუნის ხელნაწერებში ვამჩნევთ, მერვე-მეცხრე საუკუნის ტუბალ-კაინური მოფლენა. ⁴⁾ ტექსტში სწორად ო=ოჲ, ოჲ=ჲ; ეს თავისებურება, აგრეთვე ფორმა „განმტკისნეს“ (4, 16) და სხ. ჩვენს გამოცემაში დაცულია.

II—წამებაჲ წმიდისა და კეთილადმოქმედისა ბასილი, ქაშელე უმისკობო სისაჲ. ამოღებულია ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერიდან № 57 და საეკლესიო მუსეუმის № 511. ვინაჲ ბასილ ქაშელი, დანამდვილებით

¹⁾ Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи, кн. II, Петерб. 1900 г.

²⁾ სავკლ. მუზ. ხელნაწერი № 222, გვ. 59—60.

³⁾ Analecta Bollandiana, t. XXXI, p. 307—308. ამ შესწავას გელათის ხელნაწერში № 7, ფ. 340—360, ნამდვილი ავტორის, ანდრია კრიტელის, სახელი აქვს.

⁴⁾ Тексты и разысканія, кн. II, стр. 20.

⁵⁾ Крещеніе армянъ, грузинъ, абхазовъ и амановъ святырь П'ригоріемъ (арабская версія) стр. 164; შუად. Христ. Востокъ, т. I, VIII 3, стр. 363.

ვერ ვიტყვი ; ის არ უნდა იყოს ბასილი ამასიელი, ვინაიდან ეს უგანსკელი გარდაიცვალა 323 წელს, ხოლო ბასილ ჭამელი უოფილა თანამედროვე და თანამოდვესწე ბაბილას ანტიოქელისა, რომელიც ნუმერიანოსს შეეფის დროს უწამებიათ¹⁾. ეს ტექსტი გვაძლევს ახალ ცნობებს არა მარტო ბასილის, არამედ ბაბილას ანტიოქელის შესახებაც და ჰეტიოგრაფიასში ცნობილი არაა.

III—თქმული ივლიანე ეპისკოპოსისა, ტაბია ქალაქისაჲ, ნათლის-ღებისა-თჳს იჳ ქრისტ^მსა, ამოღებულია სკელ. მუზ. ხელნაწირიდან № 95. არც „თქმულება“, რომელიც ქადაგებას წარმოადგენს, არც მისი ავტორი, ივლიანე, ტაბია ქალაქის ეპისკოპოზი, საქრისტიანო მწერლობაში ცნობილი არაა. ამ მეტად მჭკრემეტეუელურ და მოხდენილ ქადაგებას დიოფიზიტური ტენდენცია აქვს: მას უნდა დაამტკიცოს, რომ იესო ქრისტე იყო არა ღმერთი მარტო, არამედ კაციც, და მან „გორცნი შეისხნა“; დაწერილი უნდა იყოს ქალკიდონის კრების (14,15) შემდეგ, მეხუთე-მეექვსე საუკუნეში.

IV—ცხოვრებაჲ და განკებაჲ, იოანე შეკენებულისაჲ, რომელი დაუღებულ იყო ლავრასა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსსა, ამოღებულია ბრიტანიის მუსეუმის ხელნაწირიდან Add. 11281; ტექსტს ჩვენს გამოცემაში ბოლო აკლია, ვინაიდან სინოტოგრაფს ბოლოს რამდენიმე სტრიქონი გადმოუღებელი დარჩენია. იოანე შეკენებელი, რომელიც V—VI საუკუნეში ცხოვრობდა, ჰეტიოგრაფიასში ცნობილია²⁾ მაგრამ ჩვენი ტექსტი, რომელიც მისი „ცხოვრების“ თავისებურ რედაქციას წარმოადგენს, რამდენიმე ახალ საბიოგრაფიო ცნობას გვაწვდის იოანეს შესახებ.

V—ცხოვრებაჲ წმიდათა და ნეტართა მამათაჲ, რომელნი მოისრნეს მთასა სინასა და რაითს ბარბაროსთა-გან, გადმოწერილია ნ. მარის მიერ 864 წლის „მრავალთავიდან“, რომელიც სინას მთაზე ინახება, ხოლო ათონის ხელნაწირიდან № 57 მოყვანილია ვარიანტები. ამ „მოსწრის“ შესახებ ჰეტიოლოგიაში ბევრი რამ გურუვეველია: დანამდვილებით არ ვიცით, რამდენი „მოსწვა“ იყო, როდის იყო ან ვინ აღწერა ის.³⁾ ჩვენი ტექსტით ორი „მოსწვა“ უოფილა: ერთი სინას მთის მამებისა პეტრე II ალაქსანდრელის დროს (373 წ.), მეორე რაითის; ორივე „მოსწვა“ მომხდარა ერთსა და იმავე დღეს—28 დეკემბერს (31,5, 43,3)⁴⁾. ჩვენი ტექსტით, ორივე „მოსწვის“ ამბავი აუწერია თანამედროვე ბერს ამზინისს; მეორე ცნობით ეს ამბავი თითქოს ვი-

1) Архіеп. Сергій—Полный мѣсяцесловъ Востока, т. II, ч. 2. стр. 355—356.

2) Acta Sanctorum, Octob. XII.

3) Архіеп. Сергій—Полный мѣсяцесловъ Востока, т. II, ч. 2, стр. 23—24.

4) სოფია-წმიდის სვანქსარშიც ეს ამბავი იხსენიება დეკემბერში, მაგრამ არა 28, არამედ 27; იხ. А. Дмитриевскій—Описание литургич. рукописей... т. I, стр. 37.

დაც მღვდელმთნახონ ნილოსს უნდა აეწეროს, ამის შესახებ ქართულ წყაროებში ვკითხულობთ: „შეისწავე, რამეთუ იგი სიკითხვი, რომელი ამონიოსს მისნახონს ადუწერა, თუ სე მთის მამათა მოწვეულისაჲ არს, ვინაჲ იგი გარდამოხულოთ ნილო მუულოფანისა მამათა მიმართ, და არა ერთი და იგივე, არამედ სხუაჲ და სხუაჲ ადუწერეს: ამონიოსს უკუე დიდის მონასტრისაჲ, სდა და სხუა, და ნილოსს ქუე მო მუულოფანისაჲ, სდა და სხუა. ¹⁾ აქ წინააღმდეგობა არაა, ვინაიდან ნილოსის მიერ ადწერილი „მოსრვა“ იყო შესამე, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეხუთე საუკუნის ნახევარში. ამონიოსის თხუსულება, რომელიც ქართველ მთარგმნელს ცოტად გადაუკეთებია, გამოცემულია. ²⁾

VI—წმებაჲ წმიდისა ბაბილასი და სამთა ურმათა, მოწაფეთა მისთაჲ, ამოდებულა ათონის იერიის მონასტრის ხელნაწერიდან № 57. ეს ის ბაბილაა, რომლის შესახებ ლაზარკია ბასილ ჰამელის ცხორებაში (II ტექსტი). ქართული თარგმანის დედნად უნდა შეიგნებოთ ის ტექსტი, რომელიც დაცულია ზარისის ნაციონალურ წიგნთსაცავის ხელნაწერში (Coislin № 303) და გამოცემულია ა. შანბაძოშვილთა—კერამიკისის და აკადემ. ვ. ლატოშვილის მიერ ³⁾.

VIIA—წამებაჲ წმიდისა და უოვლადქებულია მოწამისა ზანსოფი ალექსანდრიელისაჲ, ამოდებულა საკელ. მუზ. ხელნაწერიდან № 188. ზანსოფი, როგორც წმიდანი, ცნობილია ჰეოლოგიაში ⁴⁾, მაგრამ „წამება“ მისი, რომელიც ბერძნულ ენიდანაა სთარგმნი, მხოლოდ ქართულად შენახულა. ეს დოკუმენტი ფრიად საუკრადლებოა: აქ წარმოდგენილია მთელი სწარმართო თეოგონია და იმდენი აზოკრითული მასალაა შეგროვებული, რაც არც ერთ ჰეოლოგიათა ნაწარმოებში, მაგალითად „ნიკტარას“ შესახებ (თავი 10), ადღეომისათვის და სასჯელისა და ტირიკერზირთისათვის ძაღლის (თავი 11) და სხვა. ძველს ქართულს მწერლობაში ჩვენ გვხვდება ბასილი დიდის სასულითო წარწერილი აზოკრითული „თხრობა შიშველმართალთათს“. ეს აზოკრითი მთავსებულა სინას ერთ-ერთ ხელნაწერში, რომელიც 983 წელს შეუმოსია ვილანტე იანსეს; ⁵⁾ მაშასადამე, ის გადმოუთარგმნათ ქართულად არა ეფრემ მცირეს არც მის მოძღვარს და უფროს თანამედროვე ეფრემ დიდს თქველს ან იერუსალიმელს, როგორც თ. უორდანი ა ჰეოქრობს (ქრთნიკები, I, 228), არამედ უფრო ადრე, არა უკვიანეს მათე საუკუნის ზირველი ნახევრისა.

ეს თხუსულება, რომელიც, სხვათა შორის, საკელ. მუზ. № 65 ხელნაწერშიც გვხვდება, გამოუცია ექ. თაყაიშვილს „ქართლის ცხოვ-

¹⁾ საკელესია მუხუზმის ხელნაწერი № 79, გვ. 142.

²⁾ F. Combefis—*Illustrium Christi martyrum Aeti triumphii*; Parisiis an. 1660 p. 88—132.

³⁾ Σολομῆ Παλαστίνης καὶ Συριακῆς ἀγιολογίας, I, 75—84.

⁴⁾ Archép. Sergii—*Полный мѣсяцесловъ Востока*, т. II, ч. 2. стр. 26.

⁵⁾ Проф. А. Цагарели—*свѣдѣнія*. . II, 85, № 71.

რების მხრივ დედოფლის ვარაზტში⁴ (გვ. 846—849). ჩვენ აქ ვტყუ-ბილობთ, რომ „სიშუელმართაღნი“ ის „სანატრელნი“ ყოფილან, რომელთა შესახებ ზნისოფის ცხორება მოგვითხრობს. მართლაც, ისინი იმავე სიტყვებით არიან დასურათებული (თაფაიშვილი, გვ. 848, სტრიქ. 1:—28), რომელთაც „სანატრელნი“ (ჩვენი გამოცემა, გვ. 53, სტრიქ. 8—28), მხოლოდ უფრო ვრცლად და ფერადოვნად. ცხადია, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ან ზირდაზირ ღიბე-რატურულ დამოკიდებულებასან, ან და ერთი და იმავე წყაროთი სარგებლობასან.

VIII—ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მახსიმე აღმსარებელისაჲ, ექვთიმე ათონელის მიერ ნათარგმნი, გამოცემულია სამი ხელნაწერის მიხედვით: მარტვილის № 1, ჯრუ-ჭის № 4 და სველეციო მუხეუმის № 636. ბერძნულ ენაზე არსებობს რამ-დენიმე რედაქცია მახსიმეს ცხორების, მაგრამ ქართულს მათთან გენტიური კავშირი არ აქვს, ის წარმოადგენს დამოუკიდებელ რედაქციას, წმ. ექვთიმეს მიერ შემუშავებულს. ამ რამდენიმე წლის წინად ამ „ცხორების“ ანალიზი, მისი რუსული თარგმანი და სხვა ქართული ცნობები მახსიმეს შესახებ ჩვენ გამოვაქვეყ-ნეთ სპასკებო შრომაში,¹⁾ რომლის დებულებათა განმეორება ამთავად მეტად მიგვაჩნია.

